პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932
6 აგვისტო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გაზეთი

№ 18

20/173

საბჭოთა კავშირის დასაცავად

მოწოდება მსოფლიოს ყველა რევოლიუციონურ მწერლებისადმი

ანტიიმპერიალისტურ დღესთან — 1-ლ აგვისტოსთან — დაკავშირებით რევოლიუციონურმა და პროლეტარულმა მწერლებმა, რომლებიც გაერთიანებული არიან რევოლიუციონურ მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციაში, გამოაქვეყნეს მოწოდება მსოფლიოს ყველა მოწინავე მწერლებისადმი.

მოწოდება დაწვრილებით ახასიათებს ახალი ომების და საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მომზადებას კაპიტალისტური მსოფლიოს მიერ და ამბობს:

„18 წელი გავიდა საერთაშორისო ომის დაწყებიდან — ამ დროის განმავლობაში ძველი განცდების საშინელებანი ევროპაში ნაწილობრივ უკვე დაავიწყდათ. ამ დროის განმავლობაში წამოიზარდა ახალი თაობა, რომელიც ომს მხოლოდ სხვების გადმოცემით იცნობს. ეს თაობა უკვე გამოსადეგია სამხედრო სამსახურისათვის და ამიტომ განწირულია სასიკვდილოდ. სკოლების მასწავლებლებიც, ყოველგვარი სარწმუნოების ხუცებიც, „სასპორტო“ საზოგადოებებიც, გაზეთებიც, ჟურნალებიც და წიგნებიც — იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა იარაღები, რომლებსაც განაგებს ექსპლოატატორთა გაბატონებული კლასი, ზრდიან ამ თაობას იმის შეგნებით, რომ გაჭირვებიდან ერთად-ერთი გამოსავალია მხოლოდ ახალ ომში.

თუ გასკდა ყუმბარა, თუ ომის წამკიდებლებმა შესძლეს ახალი სისხლისღვრის გამოწვევა, ეჭვს გარეშეა, რომ ყველაფერი ის, რაც პატიოსანია კაცობრიობაში და პირველ რიგში მუშათა კლასი, შესძლებს გაბედულად მიმართოს თავის მჩაგვრელთა წინაალმდეგ ის იარაღი, რომელსაც მას ხელში მისცემენ, და ამით ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ჩაგვრის, სიცრუის და მკვლელობის ქვეყანას. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა უკვე არა ერთხელ დაამტკიცეს თავისი გაბედული გამოსვლებით მზადყოფნა იმისათვის, რომ იბრძოლებენ კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის. **ბარბიუსის** მხურვალე ბრალდებები, **რომენ როლანის** მოწოდებები, **ბერნარდ შოუს** სიტყვები საბჭოთა კავშირის შესახებ, **დრაიზერის** მტკიცე წერილები, **ჯონ დოსის, პასოსის, ანდერსენ ნექსეს, ოსკარ მარი გრაფის** ხმები, **სტეფან ცვეიგის** და **ოლბრახტის** წერილები, **ეპტონ სინკლერის** გაბედული გამოსვლები — ყველაფერი ეს რჩება მებრძოლი კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებათა დოკუმენტებად.

მაგრამ ყველაფერი ეს ეხლა აღარ არის საკმარისი. მთელი მშრომელი კაცობრიობა დღეს ყველა მოწინავე მწერლებისაგან, გარდა მხურვალე დეკლარაციებისა, მოელის აგრეთვე დიდ ნაწარმოებებს, რომლებიც თვალს აუხელენ მასებს გაუგონარ სამხედრო კატასტროფაზე, რომელიც დღეს-ხვალ მოელის კაცობრიობას. შექმენით ისეთი მკაფიო ნაწარმოებები, რომლებიც აანთებენ მასებს ბრძოლისათვის იმპერიალისტური მტაცებლების და მათი ერთგული მსახურების წინაალმდეგ. მიეცით კაცობრიობას ნაწარმოებები, რომლებიც აღაფრთოვანებენ მას და წაიყვანენ გაძლიერებული ფაშისტური ტერორის, ეკლესიის, სკოლის და ბურჟუაზიული პრესის შოვინისტური სიბნელის წინაალმდეგ. მოგვეცით ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გამოამჟღავნებენ ახალი იმპერიალისტური სისხლის ღვრის მომზადებას. მოაწყვეთ ფართო და მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტი საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ მოახლოვებული ომისა და პროვოკაციის მიმართ.

არ დაივიწყოთ ჩვენი თანამებრძოლები, იაპონიის რევოლიუციონური მწერლები, რომლებიც გამოდიან თავის ქვეყნის ბურჟუაზიის წინაალმდეგ, იმპერიალისტური ომის წინაალმდეგ და მრავალი მათგანი უკვე ციხეშია მოთავსებული. მოიგონეთ ექვსი ჩინელი რევოლიუციონური მწერალი, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს გომინდანელებმა იმისათვის, რომ ისინი გაბედულად და მედგრად გამოდიოდენ თავისი ხალხის მჩაგვრელების წინაალმდეგ. მოიგონეთ პანების პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის რევოლიუციონური მწერლები. შექმენით მკაფიო ნაწარმოებები იმპერიალისტური ომის წინაალმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მთელი მსოფლიოს მშრომელებზეა დამოკიდებული — დაიწყება თუ არა ეს ახალი სისხლის ღვრა, კიდევ უფრო საშინელი, ვიდრე წინანდელი, თუ მშრომელი მასები თავის დროზე დაამხობენ თავის ექსპლოატატორთა ბატონობას და ამით სამუდამოდ მოსპობენ ყოველგვარი ომების შესაძლებლობას“.

მოწოდებას ხელს აწერენ:

გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციონურ მწერალთა კავშირი.

შეერთებული შტატების ჯონ რიდის სახელობის კლუბი.

იაპონიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

პოლონეთის პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი.

ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგა.

საფრანგეთის რევოლიუციონურ მწერალთა ასოციაცია.

ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარულ მწერალთა კავშირი.

შვეციის მწერალთა წითელი კავშირი.

ავსტრიის პროლეტარულ რევოლიუციონურ მწერალთა კავშირი.

წითელი დღე

ანტიიმპერიალისტური დღის — საერთაშორისო წითელი დღის აღსანიშნავად და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის გაძლიერებისათვის მუშათა ფართე მასების ყურადღების გასამახვილებლად საბჭოთა მწერლების კავშირმა, სტალინის სახელობის მუშათა კლუბის გამგეობასთან ერთად, იმავე კლუბში 1 აგვისტოს გამართა სპეციალური საღამო.

საღამო გახსნა ნიკო ლორთქიფანიძემ.

ომის საშიშროებისა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვაში მწერლების მონაწილეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **სანდრო ეულმა.**

ლექსები წაიკითხეს: **ვ. გორგაძემ, ი. ლისაშვილმა, გრ. ცეცხლაძემ, ვარლამ ჟურულმა, რაჟ. გვეტაძემ და ს. ეულმა.**

შემდეგ გამოვიდენ კლუბთან არსებული სამხატვრო თვითმოქმედი წრეები.

საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს გაფართოებული სხდომა

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში

საბჭოთა მწერლების კავშირმა გადაწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასიურ მუშაობის გაძლიერებას და მშრომელ მასებთან დაახლოვების საქმეს.

მთელ რიგ იმ კონკრეტულ ღონისძიებათა გარდა, რომელნიც დასახული არის მასიურ მუშაობის გასაჩაღებლად, საჭიროდ იქნა ცნობილი მუშათა რაიონებში კავშირის საბჭოს საჯარო სხდომების ხანგამოშვებით მოწვევა.

ჯერ-ჯერობით ასეთი სხდომები იმართება სპეციალურად საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების პოპულიარიზაციისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგების მუშა მკითხველებში დამუშავების მიზნით.

ერთი ასეთი სხდომა გაიმართა ქუთაისში, მეორე სხდომა შესდგა თბილისში, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბში 30 ივლისს.

სხდომა მოწვეული იქნა პროფსაბჭოს კულტსექტორის მონაწილეობით.

სხდომა გახსნა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **სანდრო ეულმა.**

სალიტერატურო - სახელოვნო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისათვის პარტიის 23 აპრილის დადგენილებისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **შ. დუდუჩავამ.**

მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ სახელოსნოს მუშების სახელით ამხ. კახიანმა და თბილისის დეპოსა და ლენინრაიონის კომკავშირელთა სახელით ამხ. ბუდგოვსკიმ.

პარტიის დადგენილებასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის და მწერლების შემოქმედებით მუშაობის შესახებ სიტყვით გამოვიდა ამხ. **ბეს. ჟღენტი.**

დასასრულ ლექსები და მოთხრობები წაიკითხეს ამხ. **ვ. გორგაძემ, მ. ჩიქოვანმა, გრ. ცეცხლაძემ,** პაოლო იაშვილმა, **რ. გვეტაძემ,** შალვა დადიანმა, **ტიციან ტაბიძემ და სანდრო ეულმა.**

სხდომას დიდძალი ხალხი დაესწრო.

საბჭოთა მწერლების წერილი

ქუთაისის პარტკომის მდივანს ამხ. შ. ჩიხლაძეს.
კულტპროპის გამგეს ამხ. ვ. ძაძამიძეს.
რიონჰესის მშენებელს ინჟ. ვ. ჯიქიას.

ძვირფასო ამხანაგებო!

სრულიად საქართველოს მწერლების კავშირის საბჭოს იმ საზეიმო სხდომასთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყო ქუთაისის თეატრში ჩვენმა მწერალთა კავშირმა ამა წლის ივლისის 16 და იმ ამხანაგური ურთიერთობის განსამტკიცებლად, რომელიც დამყარდა ქუთაისის ხელმძღვანელ ამხანაგებსა და მწერალთა დელეგაციის წევრთა შორის ჩვენი ქუთაისში ყოფნის დროს, — საჭიროდ მიგვაჩნია მოგმართოთ ამ წერილით და ერთხელ კიდევ შევჩერდეთ იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა შესახებ ხაზგასმით ვლაპარაკობდით ჩვენს საჯარო გამოსვლებში:

1) დღევანდელ პერიოდში ყოველი მწერლის მოვალეობაა ემსახუროს სოციალისტურ მშენებლობას და თავისი შემოქმედება წარმართოს სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის სასარგებლოდ, რათა საბოლოოთ მოსპოს ჩაგვრა ადამიანისა ადამიანის მიერ, აღმოფხვრას ადამიანში ძველი, ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე აღმოცენებული, დახავსებული ფსიხოლოგია, განხორციელებული იქნას მეორე ხუთწლედით გათვალისწინებული გრანდიოზული მასშტაბის კულტურულ - ეკონომიური ამოცანები, საბოლოოდ დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში უკლასო სოციალისტური საზოგადოება, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მეტის სიძლიერით შესძლოს მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადის საპასუხისმგებლო როლის შესრულება.

2) ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ დღეს მწერლის კალამი უნდა ემსახურებოდეს იმ იდეებს, რომელზე უდიდესი და უკეთილშობილესი არც ერთ საუკუნის არ დაუსახავს მწერლობისა და ხელოვნების წინაშე.

3) ახალი ქუთაისის მშენებლობასთან გაცნობამ და ადგილობრივი ხელმძღვანელ აქტივთან დაახლოვებამ ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვანახვა თუ რამდენი თავდადებული პრაქტიკული მუშაკი ჰყავს ამ იდეებს და როგორ გამძაფრებით იბრძვიან ისინი სოციალიზმის გამარჯვებისათვის და როგორი წარმატებით შეიძლება ჩვენი ქვეყნის კულტურულ - ეკონომიური აღორძინება საბჭოთა წესწყობილების ნიადაგზე, თუ ყოველი მშრომელი მოქალაქე, და კერძოდ მწერალი, გახდება შეგნებული ჯარისკაცი იმ უდიდესი და უძლიერესი არმიისა, რომელსაც ჰქვიან მსოფლიო მუშათა კლასი.

4) თქვენი ეგზომი გამრჯელობა სოციალისტურ მშენებლობის ყოველ ფრონტზე საქართველოს ერთ-ერთ ძირითად რაიონში და ის პრაქტიკული შედეგები, რომელიც მოჰყოლია თქვენს ენერგიას, და გვწამს, აწიც მეტ ნაყოფს გამოიღებს — უფრო ნათელჰყოფს ქართულ მწერლობის რთულ მოვალეობას და გვავალდებულებს, რომ ყოველი ჩვენგანი უფრო მიუახლოვდეს თქვენ საქმიანობას, მჭიდროთ დაუკავშირდეს მას და თუ დღემდე ამ მიმართულებით თვითეულ ჩვენგანს საგრძნობი ჩამორჩენა ემჩნეოდა, — აწი მაინც გაასწოროს გამრუდებული ხაზი საკუთარ შემოქმედებასა და დღევანდელობას შორის.

5) ეს აზრი ჩვენი ქუთაისში ყოფნის დროს არა ერთხელ გამოგვითქვამს იქაურ მშრომელთა აუდიტორიის წინაშე და საჭიროდ ვსთვლით ამის წერილობით განმეორებას და რამდენადაც საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება ჩვენ გვიხსნის შემოქმედებითი მუშაობის დიდ პერსპექტივას, — დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვენი სურვილი მწერლისა და მოქალაქისა, სულ მოკლე ხანში შემოქმედებითი ფაქტებად გადაიქცევა.

6) ის ამხანაგური ატმოსფერა, რომელიც გაღვივდა ქუთაისში მწერლობის, ადგილობრივი პარტიულ ხელმძღვანელობისა და ინჟენერ - ტეხნიკურ ძალთა შორის და რომელიც დღითი დღე ღრმავდება, აქ ტფილისში საქართველოს კ.პ. (ბ) დღევანდელ მეთაურთა დახმარებით, კიდევ უფრო ამტკიცებს ამ ჩვენს რწმენას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს სახელით: ირ. აბაშიძე, რ. გვეტაძე, შ. დადიანი, სანდრო ეული, კ. კალაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ს. კლდიაშვილი, კონსტ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, ნ. მიწიშვილი, ი. მოსაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, ს. ჩიქოვანი, მ. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი და გრ. ცეცხლაძე.

საბჭოთა მწერლები ქ. ქუთაისში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს საზეიმო სხდომა

ა. წ. 16 ივლისს ქუთაისში, სახელმწიფო თეატრის შენობაში შესდგა სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს საზეიმო სხდომა, ქუთაისის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ აქტივთან ერთად. სხდომას დაესწრო სპეციალურად ქუთაისში თბილისიდან ჩამოსული საბჭოთა მწერლების დელეგაცია 17 მწერლის შემადგენლობით, ქუთაისის პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ამხანაგები, საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების წევრები და ქუთაისის მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. თეატრის შენობა საზეიმოდ იყო მორთული. კედლებს და იარუს ფარავდა საგანგებო ლოზუნგები და პლაკატები.

საღამოს სრულ 9 საათზე სხდომა ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის კულტპროპ-განყოფილების გამგემ ამხ. **ივანე ძაძამიძემ.**

ამხ. ვ. ძაძამიძე

შესავალი სიტყვა

„ამხანაგებო, ქუთაისის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ აქტივის დღევანდელი კრება, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოსთან ერთად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღეს ჩვენს ქალაქს ესტუმრა საქ. საბჭოთა მწერლების დელეგაცია ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების შემადგენლობით. მათი ჩამოსვლის მიზანია მშრომელთა ფართო მასებს გააცნონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის ისტორიული დადგენილება სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ და ამ დადგენილების რეალიზაციისათვის მოწვეული საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგები. ამავე დროს მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია დამყარდეს ორგანიული კავშირი ურთიერთს შორის, ხოლო თვით ამ მწერლებმა უშუალოდ გაიცნონ და შეისწავლონ ის გრანდიოზული მიღწევები, რომელთაც ადგილი აქვს ქ. ქუთაისში და მის რაიონში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე, რათა ამ მიღწევებმა შესაფერი გამოხატულება პოვონ მათ ნაწარმოებებში, საერთოდ ჩვენს საბჭოთა მწერლობაში.

რით არის გამოწვეული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს ისტორიული დადგენილება?

ამხ. ძაძამიძე არკვევს ცეკას 23 აპრილის დადგენილების გამომწვევ მიზეზებს და განაგრძობს.

„ცეკას ამ დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწილი, მისი მთელი შემოქმედებითი აქტივი უნდა დაირაზმოს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ. ჩვენმა ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა არსებითად უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა იმ გვარად, რომ ყურადღების მთელი სიმძიმე გადატანილ იქნას შემოქმედებითი მუშაობაზე, მწერლობის იდეურ-მხატვრული ხარისხისათვის ბრძოლაზე, სოციალისტური ლიტერატურის შექმნაზე. ცეკას ამ დადგენილების რეალიზაცია გულისხმობს მწერლების [illegible] ჩვენი ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობაში ღრმად ჩაწვდენას, მისი სისწორით ასახვას, დაუნდობელ ბრძოლას კლასობრივი მტრის ყოველგვარ გავლენების წინაალმდეგ ლიტერატურაში და ხელოვნებაში. ამისათვის კი აუცილებელია, რომ საბჭოთა მწერლებმა შეისწავლონ ჩვენი მიღწევები, შეისწავლონ ქალაქად და სოფლად გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქციის რთული პროცესები, აი, ამ მხრივ მწერლების დელეგაციის ქუთაისში ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. თქვენ კარგად იცით ამხანაგებო, რომ ქუთაისი ჯერ კიდევ 10-15 წლის წინად წარმოადგენდა ისეთ ქალაქს, სადაც არ არსებობდა არც ერთი სიმნიშვნელოვანი საწარმოო წამოწყება. დღეს ეს ქალაქი და მისი რაიონი მტკიცედ შედგარია სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე. აქ ადგილი აქვს მთელ რიგ ისეთ წამოწყებათა მშენებლობას, რომელთაც საკავშირო მასშტაბის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“.

ორატორი კონკრეტული ფაქტებით ახასიათებს სოციალისტურ მშენებლობის უდიდეს მიღწევებს ქუთაისსა და მის რაიონში და ამბობს:

„ამ რიგად ამხანაგებო ქუთაისი და მისი რაიონი წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობის თვალსაჩინო უბანს. ჩვენი სტუმრები საბჭოთა მწერლების დელეგაცია დღეს ზოგადად გაეცნო ჩვენს მიღწევებს, მათ დაათვალიერეს მთელი რიგი ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნები და ალბად უშუალოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენს ქალაქს მოეპოვება ბევრი რამ ისეთი, რომელიც მოითხოვს მხატვრულ ტილოებზე გადატანას. ჩვენმა მწერლებმა უნდა მოგვცენ მათი მხატვრული გამოხატულება, ამაში გამოჩნდება ლიტერატურული მუშაობის გარდაქმნის ნამდვილი ეფექტი. ჩამოთვლილ მიღწევათა ნიადაგზე ქუთაისსა და მის რაიონში დღითი-დღე იზრდება პროლეტარული კადრები გაზრდილ კულტურულ მოთხოვნებით, ჩვენმა მწერლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს გარემოება და ქუთაისის მუშათა მასებს უნდა გაუწიონ მომსახურეობა აქ საღამოების და სხვა ხასიათის გამოსვლების ტემატიური გამართვით. ამავე დროს ქუთაისში ყალიბდება და იზრდება ახალი კადრები. მშრომელი ახალგაზრდობის წრიდან. საბჭოთა მწერლების ორგანიზაციამ უნდა შესძლოს ამ კადრების აღზრდისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა. მწერალთა კავშირმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ქუთაისის განყოფილებაზე და ქუთაისის ამხანაგებთან უნდა დაამყარონ ნამდვილი საქმიანი ურთიერთობა.

აი ყველა ამ ამოცანების წარმატებით დაძლევის სურვილით ქ. ქუთაისის საქალაქო პარტიულ კომიტეტის, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციების სახელით მე მხურვალედ მივესალმები საბჭოთა მწერლებს და გამოვსთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ისინი შესძლებენ ჩვენი პარტიის ისტორიულ დადგენილების ურყევად განხორციელებას“.

ამხ. ძაძამიძის სიტყვის შემდეგ კრება ირჩევს საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა, მაქსიმ გორკი, რომენ როლანი, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ლ. ბერია, პ. მელაძე, გ. ჟურულაშვილი და მ. ტოროშელიძე.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა მწერლების დელეგაციის მთელი შემადგენლობა, ქუთაისის საქალაქო პარტკომიტეტის ბიურო და საბჭოთა მწერლების ქუთაისის განყოფილების ბიურო.

დღის წესრიგის მიხედვით პირველ საკითხზე „საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგები“ მოხსენებით გამოვიდა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **სანდრო ეული.**

ამხ. ს. ეული

მოხსენება

„ამხანაგებო, ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენ დავამთავრეთ საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის მუშაობა, რომლითაც იწყება პირველი ეტაპი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილებით უქმდება პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და იქმნება საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირი, რომელშიც უნდა გაერთიანდეს ყველა ის მწერლები, ვინც დგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მიისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში. ამ კავშირის შიგნით ჩამოყალიბდება კომუნისტური ფრაქცია, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წამყვანი ბირთვი. ცეკას ასეთი დადგენილება არ არის შემთხვევითი. იგი სრულის კანონზომიერობით გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის ეხლანდელ სამეურნეო-პოლიტიკურ მდგომარეობიდან, კულტურულ მშენებლობის დღევანდელ ამოცანებიდან. მიმდინარე წელს ჩვენ ძლევამოსილად ვამთავრებთ პირველ ხუთწლედს. მე-17 კონფერენციამ დასახა ჩვენი რევოლიუციის განვითარების ახალი, უმაღლესი ეტაპი—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება ჩვენს ქვეყანაში. ყველა ამ მიღწევათა საფუძველზე ტეხნიკურ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი შემობრუნდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ეს ფაქტი უდიდესი თეორიული სიღრმით ახსნა თავის ისტორიულ სიტყვაში სამ. მუშაკთა თათბირზე ჩვენი პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. სტალინმა. ასეთივე პროცესს ადგილი აქვს მწერლობაშიც. გამარჯვებულმა მუშათა კლასმა თავისი რიგებიდან დააწინაურა და აღზარდა პროლეტმწერალთა რამოდენიმე თაობა, გაიზარდა და განმტკიცდა პროლეტარული მწერლობა, მის რიგებს შეემატა ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან გამოსული მწერალთა ახალი კადრები, თანამგზავრულ მწერლობის საუკეთესო ფენები ჩვენ დაგვიახლოვდა და ჩაება თავისი შემოქმედებით სოციალისტურ მშენებლობაში. მთლიანად მხატვრულ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა შემობრუნდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და გამოიჩინა გულწრფელი სურვილი მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკაში.

ასეთმა ახალმა ვითარებამ მოითხოვა სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციები მხრივ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. ამიტომაც დღევანდელ ეტაპზე გამოუდეგარი აღმოჩნდა მწერალთა ორგანიზაციის ძველი სტრუქტურა, რომელიც შეუსაბამობა ახალ ვითარებასთან, ამახინჯებდა სალიტ. ორგანიზაციების მუშაობის შინაარს და სწყვეტდა მათ ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისგან. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელმაც შეასრულა უდიდესი ისტორიული როლი კლასობრივი მტრების გასადგურებაში ლიტერატურულ ფრონტზე და მწერლობაში ჩვენი კლასიური იდეოლოგიური განმტკიცების საქმეში, ეხლანდელ ეტაპზე უკვე გადაიქცა თავის საწინააღმდეგო ძალად, უკანასკნელ ხანებში ასოციაციაში გაძლიერდა ჯგუფობრივობა და კარჩაკეტილობა, ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვერ გაშალა ბოლშევიკური თვითკრიტიკა, მან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა შესცვალა ადმინისტრატიულ ზეგავლენებით და დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკური, თეორიული შეცდომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შეცდომა თანამგზავრებთან დამოკიდებულებაში, ასოციაციის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „მოკავშირე ან მტერი“ ხელს უშლიდა თანამგზავრულ ფენების დაახლოებას საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებთან.

პარტიამ არა ერთხელ მიუთითა ასოციაციას ამ შეცდომებზე და მოითხოვა მისგან მუშაობის დაუყოვნებლივი და ძირითადი გარდაქმნა, მაგრამ ასოციაციამ ვერ შესძლო გარდატეხის მოხდენა, მან ვერ გაანაღდა ამ შემთხვევაში პარტიის კატეგორიული მითითება.

ამიტომ პარტიამ ახალ ეტაპზე მიზანშეუწონლად, შეუფერებლად სცნო ცალკე დამოუკიდებელ პროლეტარულ ორგანიზაციათა არსებობა ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე.

სასტიკად სცდება, ვინც ფიქრობს, რომ ცეკას ეს დადგენილება წარმოადგენს უბრალო ორგანიზაციულ ცვლილებას. პირიქით ეს გულისხმობს მუშაობის ნამდვილად გარდაქმნას იმ ახალი ამოცანებს მიხედვით, რომელიც ეხლა სდგას ჩვენს წინაშე. ასევე სასტიკად სცდებიან ისინი, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ცეკას ამ დადგენილებით ისპობა მწერლობაში კლასობრივი ბრძოლა და მყარდება რაიმე ზავი და მშვიდობიანობა. პირიქით, მწერლობაში ჩვენ ვაგრძელებთ მეტი თანამიმდევრობითი ბრძოლას ანტიპარტიული იდეოლოგიის ყველა ნარჩენების აღმოსაფხვრელად და ჩვენი კლასობრივი პოზიციების განსამტკიცებლად, ამის საუკეთესო საშუალება იქნება ცეკას ხსენებული დადგენილების ნამდვილი რეალიზაცია. ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ პროლეტარული ლიტერატურა, შევქმნათ სოციალისტური ლიტერატურა.

ამის შემდეგ ამხ. სანდრო ეული გადადის ქართულ მწერლობის ეხლანდელ მდგომარეობის გაშუქებაზე. იძლევა ცალკე მწერლების და ნაწარმოებთა კლასობრივ ანალიზს და განაგრძობს:

„საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციამ ვერ შესძლო სწორი მიდგომით შეეფასებია თვითეული მწერალი და განურჩევლად აქცევდა ყველას ერთ ფორმულაში. არ იყო გათვალისწინებული მწერლის განვითარების პროცესი. ჩვენი მარქსისტული კრიტიკა სუსტი აღმოჩნდა სწორი იდეური ხელმძღვანელობა გაეწია მწერლობის განვითარებისათვის.

ჩვენ ბოლშევიკური სიმტკიცით უნდა შევსძლოთ დაშვებულ შეცდომების გამომჟღავნება და გამოსწორება. ამიტომაც მწვავედ უნდა დავარტყათ ყველას, ვინც ჭიუტობს, განაგრძობს „მემარცხენე“ ნახტომებს მწერლობის საქმეში და კერძოდ თანამგზავრებთან დამოკიდებულობის საკითხში. უნდა გავშალოთ თვითკრიტიკა, მაღალ იდეურ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი მარქსისტული კრიტიკა“.

ამხ. ეულის მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. **სიმონ ჩიქოვანმა, მიხ. ჯავახიშვილმა, დ. ჩიანელმა და ბეს. ჟღენტმა.**

ამხ. ს. ჩიქოვანი

სიტყვა

ცეკას 23 აპრილის დადგენილება გამომდინარეობს ბელადის 6 ისტორიული მითითებიდან ახალ ვითარებაში ახალ წესით მუშაობის შესახებ. ძველი მხატვრულ ინტელიგენციის შემობრუნებამ რევოლიუციის ამოცანებისაკენ მოითხოვა მათთან ახალი მიდგომა, მაგრამ აქ განსაკუთრებით სდგება საკითხი მწერალთა იმ თაობის შესახებ, რომელიც აღიზარდა და ჩამოყალიბდა პროლეტარულ რევოლიუციის პროცესში. მხატვრული ინტელიგენციის ამ ფენის ზოგიერთი წარმომადგენლები ორგანიულად დაუახლოვდენ პროლეტარიატის იდეურ პოზიციებს. ცეკას დადგენილება არ სპობს მწერლებში დიფერენციაციის აუცილებლობას, ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არის დარჩენილი ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ნარჩენები, მათთან ბრძოლის ნიადაგზე უნდა განახორციელოს ჩვენმა ახალმა ორგანიზაციამ მის წინაშე დასახული უდიდესი ამოცანები, განსაკუთრებით დაავადებულია ჩვენი მწერლობის გარკვეული ნაწილი წვრილ-ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმით, რაც ხელს უშლის მათ აქტიურად ჩაებან სოციალისტურ მშენებლობაში და შეუერთდნენ ახალი ქვეყნის მშენებელ მილიონებს. ბრძოლა ამგვარ დაბრკოლებებთან, ჩვენი დარაზმვა სოცმშენებლობის ამოცანების ირგვლივ და უმთავრესად მაღალი მხატვრული ხარისხისათვის, ოსტატობის მაღალი კვალიფიკაციისათვის ბრძოლა, ჩვენს უახლოეს საბრძოლო ამოცანას შეადგენს.

ამხ. მ. ჯავახიშვილი

სიტყვა

ცეკას 23 აპრილის დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენთვის უპარტიო მწერლებისათვის, ისე პროლეტარული მწერლობისათვის და მით უმეტეს მკითხველ მასებისათვის. ჩვენ პროლეტარულ მწერლებთან ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებით საშუალება მოგვეცემა უფრო მეტად დაუახლოვდეთ დღევანდელობას, ახალი ქვეყნის მშენებელი კლასის იდეოლოგიას. ზოგი პროლეტარული მწერალი მოკლებული ორგანიზაციულ-ადმინისტრატიულ უპირატესობებს, თავის ყურადღებას უმთავრესად მიმართავს მხატვრულ ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, ჩაებმება ნამდვილ შემოქმედებით შეჯიბრში. ეს კი გამოიწვევს მთელი ჩვენი მწერლების განვითარებას და მაღალ დონეზე ასვლას, რასაც მოითხოვს ქვეყანა და მკითხველი მასები.

აქ ლაპარაკობდენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შეცდომებზე. ამ შეცდომებს რასაკვირველია ჰქონდა ადგილი, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ არც ჩვენ ვართ უცოდველი. ჩვენ გვქონდა შეცდომები, პირადათ მე ავტორი გახლავართ „დამპატიჟე“, „გივი შადურის“ და სხვა ისეთი ნაწარმოებების, რომლებშიც არასწორადაა გამოსახული რევოლიუციონური დღევანდელობის სინამდვილე.

მე მომხრე ვიყავი ცნობილი „დისტანციის“ თეორიის, რომელიც გულისხმობდა მწერლის დაშორების აუცილებლობას თანამედროვეობის თემებიდან, დღეს ეს თეორია შემცდარად მიმაჩნია და მჯერა, რომ თანამედროვე მწერალმა უნდა სწეროს სწორედ თანამედროვე თვალსაზრისით აქტუალურ თემებზე.

დიახ, ასეთი შეცდომები მქონდა მე და სხვა მწერლებსაც, მაგრამ ამ შეცდომები-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მწერლები ქუთაისის ქაფსალებ ქარხანაში

61

საბჭოთა მწერლები ქ. ქუთაისში

სათვის ჩვენ ზოგჯერ გვედავებოდენ არა იდეურად, არა ჩვენი გამოსწორების მიზნით, არამედ ადმინისტრატიული ბრძანებლობით, ეს კიდევ უფრო და უფრო გვაშორებდა დღევანდელობის იდეებისაგან, კიდევ მეტად გვაცდენდა სწორი გზიდან და გვერეკებოდა უფრო შორს.

ცეკას დადგენილების შემდეგ საბჭოთა მწერლებთან [illegible] ამხანაგური დამოკიდებულება, რაც იწვევს ჩვენში გულწრფელ სურვილს ვაღიაროთ ბოლომდე ჩვენი შეცდომები და გამოვასწოროთ ისინი.

ცეკას დადგენილება მწერლებს გვაკისრებს დიდ ძალაუფლებას. ჩვენ უნდა შევისწავლოთ და გამოვხატოთ დღევანდელობა სოციალიზმის მშენებელი კლასის თვალსაზრისით, ყოველ ჩვენთაგანმა უნდა შეიგნოს ეს დიდი მოვალეობა. ეს ამოცანები და ერთიან ორგანიზაციებში საერთო ძალებით ვიბრძოლოთ მათი განხორციელებისათვის.

მე განცვიფრებული და აღფრთოვანებული ვარ იმ მიღწევებით, რომელსაც დღეს ქუთაისში გავეცანი. ასეთი უშუალო ძისვლა სინამდვილესთან უთუოდ მოგვცემს ახალ შემოქმედებითს იმპულსს, ჩვენ უნდა შევძლოთ ამ მიღწევათა გადატანა მხატვრულ ტილოებზე.

დია ჩიანელი

სიტყვა

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების სახელით მე მივესალმები საბჭოთა მწერლების დელეგაციას, მათი ჩამოსვლა ქუთაისში არის იმის მაჩვენებელი, რომ მართლაც მწერალთა ორგანიზაციების მუშაობაში მოხდა გარდატეხა, რომ მწერალთა ორგანიზაციები ყურადღების გარეშე არ სტოვებენ რაიონებს და პირიქით, აქედან იწყებენ თავისი საქმიანობის გაშლას.

ცეკას ისტორიული დადგენილების ურყევად გატარება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მწერლობამ გაანაღდოს ყველა ის უდიდესი დავალებები, რომელსაც აყენებს პარტიის მე-17 კონფერენციის მიერ დასახული ახალი პოლიტიკური ამოცანები და საერთოდ სოციალიზმის მშენებელი დღევანდელობა, როგორც საქ. მწერალთა ორგანიზაციებში მთლიანად, ქუთაისშიც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს ლიტერატურულ ფრონტზე, ადმინისტრატიულობას და სხვ. მათი დაუყოვნებლივი აღმოფხვრა და გამოსწორება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება მთელი თავისი ძალებით, ჩაებმება ცეკას დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში და ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა მწერლობის კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები ამ მუშაობაში ჩვენთან დაამყარებენ საქმიან სისტემატიურ კავშირს და გაგვიწევენ კონკრეტულ დახმარებას და ხელმძღვანელობას.

—:—

უკანასკნელი სიტყვით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. ბესო ჟღენტი, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში გაარკვია რა საბჭოთა მწერლობის კავშირის ამოცანები, ცეკას დადგენილებასა და ყრილობის შედეგებთან დაკავშირებით, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ქუთაისის განყოფილებასთან დაკავშირებისა და საერთოდ სარაიონო ცენტრებში ლიტერატურული მუშაობის გაშლისათვის.

დასასრულ ამხ. ბ. ჟღენტმა საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს სახელით კმაყოფილება გამოსთქვა ქუთაისის პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მწერალთა დელეგაციის ასე გულწრფელი და საქმიანი მიღების გამო და ხაზი გაუსვა ქუთაისში მწერალთა დელეგაციის მიერ ადგილობრივი ამხანაგების დახმარებით ჩატარებული მუშაობის დადებით შედეგებს.

—:—

დასასრულ გაიმართა ლექსებისა და პროზის კითხვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: **ნიკო ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, ალიო მაშაშვილმა, ნიკოლო მიწიშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, სერგო კლდიაშვილმა, გრ. ცეცხლაძემ, მიხ. ჩიქოვანმა, შალვა დადიანმა, ირაკლი აბაშიძემ, ს. ეულმა.**

მრავალრიცხოვანი აუდიტორია მხურვალე ოვაციებით ეგებებოდა მწერალთა გამოსვლას.

ორი დღე ქუთაისში

მწერლები ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში

უცნაური ამბავი დამემართა: უამრავი უცხო ქვეყანა დავიარე და ჩვენი მეორე დედა-ქალაქი ქუთაისი კი თითქმის პირველად ვნახე. სამი წლის წინანდელს პირველ მგზავრობას არ ვანგარიშობ, რადგან მხოლოდ ორ დღეს დავრჩი. გადაუღებლივ წვიმდა და სასტუმროში ვიყავი ჩაკეტილი. ერთი საათით გადაიღო. ვისარგებლე, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე ავედი და ქუთაისს იქიდან მოვავლე თვალი. მისი მდებარეობა და საერთო იერი მომხიბლავია. ამგვარი ლამაზი საქალაქო პეიზაჟი არსად არ მინახავს.

ამის შემდეგ ხშირად ვიმუქრებოდი ერთხელ კიდევ დავბრუნდები და ყველაფერს ენახავ მეთქი; ნამეტან გელათის, გეგუთისა და ტყიბულის ნახვა მწყუროდა. მაგრამ მუქარამ და წყურვილმა აქამდე უქმად ჩაიარეს. ეხლაც მეგონა ორ დღეში ხეირიანათ მარტო ქალაქის დათვალიერებაც არ მოხერხდება მეთქი. მაგრამ მოხერხდა იქაური ხელისუფლების წყალობით.

უწინ ქუთაისი არ მენახა-მეთქი. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგად ვიცოდი სად რა გვქონდა და ისიც ვიცოდი, რომ ამ ქალაქს მხოლოდ ზამთრობით ასდიოდა ბოლი. კვამლი (რა თქმა უნდა საქარხნო და არა საბუხრე) მრეწველობის საზომია. გლადსტონმა მთელი საფრანგეთი დაიარა და ტიერს უთხრა: უმდიდრესი და უმშვენიერესი ქვეყანაა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს, კვამლი აკლიაო. ქუთაისს ეს ნაკლი მოკლე ხანში წაუშლია. ეხლა მას უხვად ასდის საქარხნო კვამლი, ხოლო უკვე დაწყებული და განზრახული ქარხანა-ფაბრიკები რომ დამთავრდება, მოსახლეობის ერთი მეოთხედი თუ მეხუთედი მუშად გადაიქცევა; მე მგონია რომ მუშათა ეს ოდენი დიდი % ტფილისსაც არ მოეპოება, იმიტომ არ მოეპოება, რომ მის მიდამოებში საკმაო ნედლეული არ იშოვება. ქუთაისის რაიონი კი ამ მხრივ უხვად ყოფილა დატვირთული. საშენებელი და საკირწყლავი ქვა, ბარიტი, იქვე ახლო მარგანეცი, გუმბრინი ელექტროენერგიისათვის გამოსადეგი მდინარეები, ბოქსიდები, იაფი ხილი და ბოსტნეული, აბრეშუმი და კიდევ მრავალი მინერალი და ვეძი— ყველა ეს პირობები უფლებას და საშუალებას აძლევს ამ რაიონს ხშირ კვამლში გაეხვიოს და დანარჩენებისათვის საჩვენებელ მაგალითად გადაიქცეს.

მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა სამტრედიაში და კიდევ სადღაც აბრეშუმის ძაფსახვევი ფინანური სახელოსნო იდგა, პარკის უდიდესი ნაწილი კი მილანსა და ლიონში მიდიოდა.. ეხლა ამ ძვირფას ნედლეულს აქვე ვამუშავებთ და საცაა ქუთაისში ახალი ფაბრიკაც აშენდება, რომელიც აქაურივე აბრეშუმის ქსოვილს გამოუშვებს. ეს გეზი—აქაური ნედლეულის აქვე დამუშავება—სავსებით ჯანსაღია და ჩემის აზრით იგი საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს სამრეწველო პოლიტიკას. ჩვენ მრავალი ნედლეული გვაქვს.

იგივე ითქმის კონსერვების უზარმაზარ ქარხანაზედაც. გზაში უამრავი ნედლი ხილი და ბოსტნეული ფუჭდება, კონსერვები კი დიდხანს ინახება და მისი გატანა იმდენად სახიფათო არ არის.

ბარიტი და გუმბრინი, რომელსაც სხვაგან ფლორიდინს უწოდებენ, რადგან იგი მხოლოდ ფლორიდაში მოიპოვება, უკვე საექსპორტო საქონლად გადაიქცა.

ქუთაისის მახლობლად უმდიდრესი ბოქსიდი აღმოაჩინეს და ამიტომ ალუმინის ქარხანასაც იქვე მახლობლად ააშენებენ.

წყალტუბოს სასწაულმოქმედი ძალა უწინაც გამიგონია და მის მიერ განკურნებული დახუთულები მინახავს. მე მხოლოდ ერთხელ ვიბანავე და ისეთი სასიცოცხლო ნიშანი ვიგრძენი, რომ ვშიშობ მთელმა კურსმა ათი წლის ბაღლად არ გადამაქციოს. მის მოწყობაზე რამდენიმე მილიონია გადადებული და ხუთი იმდენიც რომ დახარჯონ, არც ერთი მანეთი არ ჩაითვლება ზედმეტ დანახარჯად.

ცოდვაა, რომ ქუთაისის რაიონს ესოდენ უვარგისი გზები ჰქონდეს, ხოლო ქალაქს კანალიზაცია და ტრამვაი არ გააჩნდეს. რიონჰესის შესახებაც. როცა მისი დამსრულებელი ინჟენერი **ჯიქია** (ვოლხოვსტროის ამშენებელთაგანია) და ჯავახელი ინჟენერი მიქელაძე (ზაჰესის ამშენებელთაგანია) გატაცებით გვიჩვენებდენ საგუბარს და გვირაბს, ჩვენ მოხიბლული ვუგდებდით ყურს. მე ვიკითხე:

— რიონის რამდენი ნაწილი გადავა არხში?

— მთელი რიონი გადავა.

ხიბლი უმალვე გაიფანტა. ურიონო ქუთაისი უცხვირო მზეთუნახავი იქნება.

ახალმა წყალსადენმა ჩვენი ჭმუნვა გაფანტა.

ამხ. ჩიხლაძე, ჯიქია, ძაძამიძე და მიქელაძე მათ შესახებ სულ მოკლე ხანს იმდენი ქება გავიგეთ ქუთაისლებისაგან, რომ მე გავბედე და ასეთი რჩევა მივეცი მათ:

— გირჩევთ გაჩუმდეთ, თორემ ტფილისი გაიგებს და ქუთაისლებს დასჯის, ოთხივეს უკანვე გადაიყვანს.

სახარბიელო და ლირიკული მომავალი მოელის ქუთაისს.

მიხ. ჯავახიშვილი.

„25.000.000“

ის, ვინც პროლეტარული რევოლიუციის ეპოქამდე დაიბადა, იცნობს ძველ ქუთაისს თავად-აზნაურულს, ნანგრევთა სურნელებით გაბრუებულს და ჩარჩ-ვაჭრებით აკლებულს. დასავლეთ საქართველოს ცენტრში ჩინ-მედლების მოტრფიალე მცონარა თავად-აზნაურობა ბაღის კუთხეებში ბატის ფრთით კბილებს იჩიჩქნიდა, ხოლო ბაზარზე ჩამოსულ მშრომელ გლეხობას ჩარჩები და სპეკულიანტები „ყაფანზე“ უსირცხვილოთ ძარცვავდენ.

ქუთაისი წვრილ-ბურჟუაზიული ცხოვრებით თავგამოტენილი, თავშესაფარი იყო ათასგვარი საეჭვო და სოციალურად მავნე იდეებისა. ჯაჭვის ხიდის სამიკიტნოების ზურნა და არღანი შეადგენდა მეშჩანური ინტელიგენციის იდეალს. მეოცე საუკუნეშიც ამ ქალაქს აზნაურული დახასიათება შერჩა.

„მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო“...

ამ დროს ქუთაისის მშრომელი მოსახლეობა [illegible] სჭედდა საკუთარ ბედს. „საიდუმლო გვირაბის გაყვანას“ შემდეგ [illegible] მუშათა კლასისათვის [illegible]. მაშინაც ქუთაისს სხვადასხვა გვარად იცნობდენ მისი მაცხოვრებლები: ზოგისთვის ლამაზი, გასართობი და „მუქთი ქლეხის“ ადგილი იყო, ზოგს კი ექსპლოატაციის მძიმე უღლის [illegible].

მაშინდელ ქუთაისს საამაყო არაფერი ჰქონდა. ამიტომ ქუთათური მასპინძლები „საყვარელ“ სტუმრებს ნანგრევებისაკენ ეპატიჟებოდენ. არქიელი იყო მათი საამაყო ადგილი და მეფის ხელში მოხუცებული თავად-აზნაურობა წარსულით ამაყობდა. რადგან ასი წლის განმავლობაში თვითმპყრობელობას ამ ნაგრევებზე უმაგრესი ვერაფერი აეგო, გარდა იმისა რომ ააგო და გააფართოვა გეგუთის ქუჩაზე ციხე და ალიხანოვს ზამთრის ყინვაში მიაკოკონა დაანთებია.

მეფის [illegible]-კოლონიალურმა პოლიტიკამ ქუთაისს უბრალო სახელოსნოები უბოძა და შავის ზღვის მაგისტრალზე [illegible]. შვიდი კილომეტრით გადაუქრა გზა და მატარებლის ძახილი შორიდან ჯავგონა. როცა ასართმევი ქონიც აღ მიეწურა, მაშინ მაგისტრალს ხაზი მიაბა და ტვირთის მზიდავი ვაგონები ჩიხში ჩააქენა...

ეს კმაროდა იმერეთის, ლეჩხუმის, რაჭის საძარცვავათ, ხოლო სხვა დარდი ვორონცოვსაც არ ამოძრავებდა ამიერ-კავკასიის მიმართ და ქუთაისი რევოლიუციამდე დარჩა პროვინციათ, მეშჩანურ და თავადაზნაურულ ქალაქად, რომელსაც არ ჰყავდა თავისი ნამდვილი მშენებლები. არ ჰყავდა სამრეწველო მუშები და უმთავრესად სოფლებიდან ხარ-ურმით მოტანილი ჭირნახულით იკვებებოდა...

მენშევიკურ ჟირონდას სამი წლის განმავლობაში ქუთაისი არსებითად არ შეუცვლია.

„ნოეს ერთობამ“ თვითეულ კულაკს 18 დესეტინა მიწა მიუზომა და მშრომელი გლეხობა ისევ უმიწა-წყლოთ დასტოვა, ხოლო ომისგან დაცლილმა სოფელმა სიმშილის სასტიკი კლანჭები იგემა.

სოფელს თავისათვის არაფერი ჰქონდა და ქუთაისს რაღას მისცემდა... სიმშილი დააწვა ქალაქს თავზე და „ისპანკასთან“ ერთად, ქუთაისის „ყაფანზე“, ქუთათური ქალამნების ყიდვაც ველარ შესძლო სიმშილით მოსავებულმა მიწის მუშამ და „დემოკრატიულ ერობას“ ზურგი აქცია...

—:—

მწერლები ქუთაისის ბარიტის საფქვავ წისქვილში

ქუთაისი გამოვიდა პროვინციალურ კანიდან. მოიხადა საუკუნეებით შემუშავებული კუთხური იერი და დღეს ის არის საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოო ცენტრი. მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს და ა.-კავკასიის რესპუბლიკებისათვის, არამედ ის საკავშირო ხასიათის საწარმო ქალაქად ხდება. საკმარისია კაცმა ჩამოთვალოს საწარმოოთა სახელები, რომელნიც აქ არსებობენ, რომ ნათელი გახდეს, რა დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ.

1893 წელს მგოსანმა რიონის „საიდუმლოების“ გამოაშკარავებისათვის სთქვა:

„სადღა არის ოქროს სილა?
შლამ-ტალახით ამოვსილა!
მწუხრის ზეწარს დაუფარავს
მაგის მზე და მაგის დილა!“...

„გულამღვრევით მობუტბუტე რიონიც“ გამოცვლილია დღეს და მგოსანი მას ვეღარც იცნობს. რიონი სექტემბერში დასავლეთის მხარეს გააჩირაღდნებს და მამოძრავებელ ძალათ ჩაუდგება მრავალ წარმოებებს ძარღვებში. „მწუხრის ზეწარი“ ჩამოხეულია ქუთაისის ციდან და მისი ღამე და „მაგის დილა“ გიგანტის ამუშავებას შეჰხარის.

თუ უწინ საქართველოს აბრეშუმი ცხენ-აქლემებზე აკიდებული შაჰების ჰარამხანებისაკენ იგზავნებოდა, ახლა აბრეშუმის ქუთაისის ძაფ-საღები შულოებათ ართავს, ხოლო ტფილისის საქსოვი ფაბრიკა ძვირფას ქსოვილს საბჭოთა ბაზარზე გზავნის.

წიფლარის ბარიტს ქუთაისში ენერგიული მუშა იოლად ფქვავს ახალ სისტემაზე მოწყობილ ქარხანაში, ხოლო ბარიტის გვერდით ლიტოპონის წარმოებას ეყრება საფუძველი.

რიონის მარჯვნივ მაუდი იქსოვება, ხოლო ფაბრიკის ეზოს დასავლეთით უკვე ზრდას ამთავრებს საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად სოციალიზმის მშენებლებს მიაწვდის 25 მილიონ ქილა კონსერვს, ხოლო წამში 200 ცალს.

—:—

აგერ, გასცილდით მაუდის ფაბრიკას, გვერდი ჩაუარეთ შრომა-გასწორების სახლს, სადაც ერთ დროს გვიოაბს თხრიდენ ბოლშევიკები და, ქალაქის ნაპირს მისულმა, თვალი მოავლეთ დიდ ჰიშკარს, რომლის ეზოში ახალი ნაგებობანი ერთმანეთს შეჯიბრებიან გაზრდაში. ზოგს ზრდა გაუთავებია და სახურავს იკეთებს, ზოგი ბეჭებამდე მოყრილია, ხოლო რამდენიმე კედელი ჩონჩხივით წამოწეულა მიწიდან და აგურებს იმატებს.

მთავარი კორპუსი უკვე წელში გამართულია და ირგვლივ შემოსეულ თავისიანებს ამაყად დაჰყურებს.

თქვენ გაგიკვირდათ ამდენი შენობების, ხარაჩოების და კორპუსების ნახვა, მრავალი მასალა სახლების ირგვლივ რომ მოჯარებულა. ყველაფერი ეს იმისათვის კეთდება, რომ გიგანტმა 25 მილიონი კონსერვი მოუმზადოს საბჭოთა კავშირის მოსახლეობას.

— 25 მილიონი ქილა ხილის კონსერვი! მერე მითხარით თქვენი ჭირიმე, სად არის ამდენი ხილი? ნუთუ ქუთაისს შეუძლია მისი ნედლეულით დაკმაყოფილება?

თქვენ უცბად შეუბრუნეთ კითხვა და განცვიფრებას ეჭვი დაუმატეთ; იქნებ ტყვილა იხარჯება მილიონები და ნედლი მასალა კი არ გვაქვს!...

— არა ამხანაგო,—გიპასუხებენ თქვენ მაშინვე—ხილი ბევრია. ქარხანა მთლიანად დაიტვირთება ადგილობრივი ნედლეულით, დასავლეთ საქართველო ხილეულობით მდიდარია. დღესაც, რაიაღმასკომს სამი ათას ტონაზე მეტი ხილი აქვს გასაგზავნი, მაშინ კი აქ გადავამუშავებთ. ამას მიუმატეთ მახლობელი რაიონების მოსავალი და საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ათასი ჰექტარის ფართობზე გაიშლება და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ 25 მილიონის მიღება ადგილობრივი რესურსებით ყოველწლიურად შესაძლებელია. ქარხანა ნედლეულით უზრუნველყოფილი იქნება, ხოლო დასავლეთ საქართველოს ხილი ადგილობრივ ბაზარს იშოვის.

—:—

ძნელია ერთი ან ორი მისვლით გაიცნოო წარმოების ყველა მხარეები. მაგრამ როცა თქვენს სათვალთვალო გარებას ადგილობრივი მუშაკების აზრებს დაუმატებთ, ნათელი გახდება მიღწევებთან ერთად ნაკლი და ამოცანები, რომელიც ქარხანას აწუხებს.

ჩვენ ვილაპარაკეთ მიღწევებზე, ვსთქვით ახალი გიგანტები შენდებათქო. საკონსერვო ქარხნის სამუშაოები 60 პროცენტით უკვე მოთავებულია, ამუშავების ვადაც იწურება.

პირველ სექტემბერს ქარხანა მზად უნდა იქნეს! ასეთია გეგმის ვარაუდი და ეს უნდა შესრულდეს. შესრულებას ხელს უშლის რამდენიმე მიზეზი. საჭიროა ძალების მობილიზაცია, საჭიროა ახალი მეთოდებით მუშაობა და ვარაუდი სინამდვილეთ იქცევა.

მთავარი კორპუსის ის ადგილი, სადაც ქილები უნდა გაკეთდეს, აივსოს და საბოლოოთ გამზადდეს—პირველ სართულშია. ვრცელი დარბაზის ერთ მხარეს ხელ-ხელ ჩაკიდებით მანქანები იმართება. [illegible] თქვა, რადგან იტალიიდან მოტანილ „ბენჩის“ სისტემის მანქანებს, იტალიიდანვე მოსული ინჟენრები ახლა უკეთებენ მონტაჟს. ათ დღეში მოამზადებენ ყველა დაზგებს. დაზგები მეტის-მეტად რთულია და სწრაფად მოძრავი. 200 ქილა წამში—280 კი სარეკორდო სისწრაფეა მთელს ევროპაში. ყველა მანქანები ერთ სისტემაშია გაერთიანებული, ჟესტის ძროს გამკეთებლიდან დაწყებული, სავსე ქილების კონტროლიორამდე...

ვუსმინოთ წითელ დირექტორს, ამხ. **კუკულავას**, როცა მანქანები დავათვალიერეთ ალექსი გულდასმით გვეუბნება:

— „ამ ქარხნის აშენება „კონსერვტრესტს“ თავიდან არ უწარმოებია, რამაც მუშაობა ჩააგდო, მშენებლობა 32 წლის ინტერვალში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „გოსპლანმა“ ეს ვერ შესძლო. ტრესტი იძულებული გახდა პროტესტი განეცხადებინა და 31 წლის ოქტომბრიდან ჩვენ დავიწყეთ მუშაობა.

„ქარხნის მშენებლობას ბევრი დაბრკოლებები გადაეღობა წინ—უმთავრესად საშენი მასალის უქონლობის გამო.

„20 აგვისტოს მთავარი კორპუსი მთლიანად მოთავებული იქნება, ხოლო 1-ლ სექტემბერს ქარხანა პირველად აუშვებს საყვირებს. ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ ენერგია გამოვიყვანეთ ქარხანაში. ენერგიას აბჰესი გვაძლევს, მაგრამ გასაბმელი მასალების უქონლობა საფრთხეში გვაყენებს. საკავშირო ელექტრო-გაერთიანებისაგან არაფერი იმედი არის. საჭიროა რაიაღმასკომმა გაუკეთოს ადგილობრივ რესურსებს მობილიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქარხნის ამუშავების ვადას ჩაშლა მოელის.

„არც მუშა-ხელით ვართ უზრუნველყოფილი. 230 მუშა მუშაობს ყოველდღიურად, ნორმალურად 350 გვჭირდება.

„მუშათა მომარაგება დღემდე სუსტია. ხორცეულის მიღება აქამდე ვერ მოხერხებულა და კოოპერაცია მოუქნელად მუშაობს დახურული განმანაწილებლის ხაზით.

ამ საუბარში ქარხანას გამოვსცილდით და მზის გულზე გამოსულებმა ერთხელ კიდევ გაუსწორეთ თვალი ზრდაში მყოფ კორპუსებს.

— მთავარი ახლა ელექტრო გაბმულობისათვის მასალების შოვნაა. თუ რაიაღმასკომი არ დაგვეხმარა, ათი დღის შემდეგ იტალიელი ინჟენრები ველარ იმუშავებენ, რადგან მონტაჟს დაამთავრებენ და ენერგია არ გვექნება, — ენერგიულად გაიმეორა ალექსიმ, როცა მრავალი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი ჰიშკარს მივუახლოვდით.

სოციალიზმის მშენებელი გმირები დასძლევენ ყოველგვარ წინააღმდეგობას. პარტიის და ხელისუფლების ღონისძიებანი უზრუნველყოფენ დამამთავრებელი წლის გეგმის წარმატებით შესრულებას და მათ შორის ქუთაისის წარმოებებიც გამარჯვებას იდღესასწაულებენ.

მიხ. ჩიქოვანი.

„დღევანდელნი“

(უვერტიურა)

დღეს, ქუთაისში ჩამოსვლისას, როდესაც ბარიტის კოხტა ქარხანას ათვალიერებდა ტფილისიდან ჩამოსული მწერალთა კავშირის დელეგაცია, ერთი ახალგაზრდა ამედევნა და პირზე ღიმილით მითხრა:

— ხომ იცით, თქვენი კოწია დავმარხეთ.

ვერ მივუხვდი, შევეკითხე კოწიას ვინაობას, იმას გაეცინა:

— თქვენ ხომ პიესა „გუშინდელნი“-ს ავტორი ხართ...

— „ჰო“—მეთქი, ეხლა მე შევღიმილე.

— ჰო და აი, ხედავთ, შალვა, ამ ბარიტის ნამტვრევებს თეთრ ფქვილად ქცეულს... თქვენი კოწია, ეს ქონებითაც და ზნეობრივათაც გალატაკებული ადამიანი, რომელიც ჯიბით მუდამ სხვადასხვა მადანს დაათრევდა, განსაკუთრებით კი ბარიტს, რევოლიუციის მეოხებით დღევანდელმა ცხოვრებამ სწორედ ისე დაფქვა და მოფშვნიტა, როგორც აი ეს ბარიტი, რომელსაც თქვენ დასცქერით. ეს მსგავსება. მხოლოდ განსხვავება თქვენ თავად კოწიასა და ამ ბარიტის ფქვილს შორის ის არის, რომ კოწია აღიგავა ამ ქვეყნიდან, გაქრა მისი სახსენებელი, ბარიტი ეხლა ამ ღლაბურცა თავადის ჯიბით კი არ დახეტიალებს კარდაკარ, არამედ თვალებ-მგზნებარე და გულმტკიცე მუშათა მეოხებით დნება უკანასკნელ ტეხნიკით მოწყობილ ღუმელში, იქცევა სხვადასხვა ქიმიურ შენადნობათ, ამსუყნებს და მარილათ ეფრქვევა სხვა მადნეულებთან ერთად მძიმე ინდუსტრიას კომუნისტურ ქვეყნის ასაშენებლად...

მომხიბლა ამ ახალგაზრდამ, მაგრამ იმას არ დაუსრულებია:

— თქვენი ჯიბო კვანტრიშვილი კი იმავე პიესიდან, რომელსაც ჯიბეში მუდამ მარკა ედვა და რომელიღაც აბლაკატისაგან შედგენილი, მზა-მზარეული „დანოსი“... არ იცით რა მოუვიდა?..

ავყევი ამ ახალგაზრდას და ვუპასუხე:

— დიაღ, არ ვიცი... მე იქ დავტოვე, როდესაც მან უკანასკნელად მაზრის უფროსს „დანოსი“ მიართვა ადგილობრივ მამასახლისზე...

— ოო, მას შემდეგ—განაგრძობდა ჭაბუკი—ბევრი რამ გამოიარა, ესეც საგულისხმო ამბავია, მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ პირველხანად, შავ სიელებში მოექცა, ამჟამად კი, როდესაც მისი პიროვნება სრულიად გამოირკვა სოფლისათვის, მრუდე გზით შეძენილი მამული კოლმეურნეობაში იქნა შეტანილი და ეხლა იქ მისივე სოფლის ღარიბ-ღატაკები, ყოფილი მისი მოჯამაგირეები აჩაღებენ ახალ წესზე დაყენებულ მეურნეობას, სრულიად ახალს ყოფა-ცხოვრებას, ზრდიან და ქმნიან ახალს ადამიანებს, რომელთაც ჯიბოსავით „დანოსები და მარკები“, ან სარგებელში გასესხებული ფული კი არ ასულდგმულებთ, არამედ მეცნიერება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური და ბურჯათ უდგანან სოციალისტურ საზოგადოების, სოციალისტურ მსოფლიოს შექმნის საქმეს.. აი, ამგვარათ დაიღუპნენ თქვენი კოწია და ჯიბო... ეხლა ხომ ხედავთ, შალვა, სულ სხვა ხალხი გაჩნდა,—მაგარ-ქუნთიებიანი, რომელთაც აქვთ მომავალი, რომელნიც ანცვიფრებენ კაცობრიობას, სწამთ თავის თავი და თავის საქმე.

— მშვენიერია.—შევაჩერე ახალგაზრდას, მაგრამ ის უკვე გატაცებული იყო, მხოლოდ ჩემი სიტყვა თვით დაიჭირა და განაგრძო:

— დიაღ, მშვენიერია... აი აგერ ფერომარგანეცის ქარხანა, რომლის ბრძმედებიც ძალიან მალე გამოადნობს უბადლო ფოლადის მთავარ შესადნობსა; აგერ ალუმინიუმის მომავალი ქარხანა, რომელიც შემდეგში მოგვანიჭებს დიდს ეკონომიურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან; აგრეთვე დამთავრებული ჩვენი სიამაყე რიონ.ჰესი, რომელიც გარდა სინათლისა, გარდა ტრანსპორტის რკინის გზაზე გაძლიერებისა და გაუმჯობესებისა, აამოძრავებს და თავის მძლავრ ნაკადს მისცემს ყველა აქ ჩამოთვლილ და მომავალში განზრახულ ქარხნებ-ფაბრიკებსა..

ვინ მოსთვალოს ზღვაში ქვიშა,
ანუ ცაზე ვარსკვლავები...
ვინ მოსთვალოს ამ ქარხნების
ძრავი, ძალა.. „მხარ-მქლავები“!—

აქ კი გაიცინა:

— ეს ცოტა მოიხალტურებს, მაგრამ მე ხომ წმინდა წყლის პოეტი არა ვარ.,. აკაკი გამოვიყენე, მაგრამ.. უკაცრავად. და ცოტა განზე მიდგა, რადგან შემატყო, რომ მისი გამოსაუბრების გამო, ბარიტის ქარხნის სიმპატიური დირექტორის, დაწინაურებულ მუშის **კირილე მელაძის** საქმიანსა და ზედმიწევნილ ახსნა-განმარტებას სავსებით ყურს ვერ ვუგდებდი.

მხოლოდ, როდესაც ქარხნიდან გამოვდიოდით, მაინც დამეწია და მკითხა:

— შალვა, როგორი გეჩვენათ დღეს ქუთაისი? „სავარდო და სამაისო ქუთაისი“?.. ამ სიტყვებში ხომ მთელი ეპოქაა თქვენი გმირების თვალწინ გადაშლილი, მთელი არომატი იმ ქუთაისისა, როდესაც გარეგნულათ ბრჭყვიალა და ლამაზი მაშინდელი თავად-აზნაურობა და მოხელეობა გამოთქმულ ბულვარში ან ზოგიერთის ვულგარულ „გულ-ვარდში“ ეძლეოდა „დოლცე-ვარნიენტური“... ხომ ესაა? თქვენც ხომ, შალვა, მათ შორის ტრიალებდით?.. ამას ეხლა ვეღარ ნახავთ ქუთაისში. აგრეთვე ვერ ნახავთ იმავ ბაღის პირათ მოცეცქინე და აფერისტებულ „გიმნაზისტკა-გიმნაზისტებს“, ვერც ჩაჩუქებულ სადილელ „ეპიკურისტებს“. იგრძნობთ, რომ ამ ქალაქში ამჟამად უმთავრესად საქმიანობაა გამეფებული, ისიც კი, ვინც „განზე იმზირება“, უნდა არ უნდა საერთო შრომაშია ჩართული და თუ დღეს კიდევ არის ფსიქიური თუ სოციალური ნატამალი ძველი „უდარდელი სამაისო“ ქუთაისისა, ხვალ ის ნამდვილად აღარ იქნება.. აგუგუნებული ქარხნები, ამეტყველებული ლითონები, მინერალები, ლაბორატორიები და კაბინეტები ენტუზიასტი მუშებით გირლიანდ-მოვლებული უფრო მძაფრად დასძახებენ სიმღერას.

სიხარულით შევსცქეროდი ამ უცნაურ ახალგაზრდას, რომელიც ძველსაც კარგათ იცნობდა და ახლის ასეთი ენტუზიასტი იყო.

გამოთხოვებისას ცოტაზე შემაჩერა, მხარზე მეგობრულად ხელი დამკრა და მითხრა:

— ჰა, ბებერო! თქვენ დასწერეთ „გუშინდელნი“, ხომ დასწერთ „დღევანდელნს“?

ვიგრძენ ეპოქასთან ერთად რა მძიმე მოვალეობას მაკისრებდა ეს ხალისიანი ახალგაზრდა, მაგრამ მაინც მტკიცედ ვუპასუხე:

— დავწერ.

შალვა დადიანი.

ქუთაისი, 16 ივლისი, საღამო.

წყალტუბო

.. მწერლები მეგობრულად მუსაიფობენ, ხუმრობენ. არ მგონია, რომელიმეს გვერდში მჯდომი „გალიაში ჩასაჯენ“ მხეცად ეჩვენებოდეს.. იქვე კი გადიფრენს ზოგჯერ: ასე თავაზიანი ვიქნებით მუდამ?

იშლება იმერული სანახაობა: აქ ბუჩქნარი, იქვე ვენახი, გვერდში ტყერი, უეცრად დედა-მიწის გაშიშვლებული წითელი, თეთრი, ყვითელი ნიადაგი და შემდეგ ისევ ყანა, ხეებით შემოვლებული კარ-მიდამო...

შოფერიც საუცხოვო შეგვხვდა—არც მიგვაქანებს „კისრისსატეხათ“ და არც მიზოზინობს—მიდის, როგორც შეეფერება, გორაკთა შორის ფერდობზეზე დაკლაკნილ გზას..

ჩემს მახსოვრობაში ამ გზამ სამჯერ მაინც იცვალა ფერი:

რამდენჯერ მინახავს ჩაჩიალა ურემი რომ მოედებოდა შუა გზაზე ამოჩრილ ქვას და პატარა მოზვრები უიმედოთ დახრიდენ თავს, მეურმე მხარით მოაწვებოდა ზედესადგამს..

ცხენითაც კი გასაჭირი იყო სიარული: ჩანგრეული ბოგირები, ციცაბო ალმართ-დაღმართი, ორივე მხრიდან გადმოწოლილი ხეების და მცენარეების ყლორტები ხიფათის უმზადებდენ ოდნავ შენელებულ ყურადღებას...

ოდნავ შეაკეთეს გზა, და ქუთაისის ნაცადმა მეეტლეებმა გაბედეს... მაგრამ ამ თორმეტიოდე ვერსზე სამჯერ ისვენებდენ, წამდაუწუმ ჩამოსხამდენ მგზავრებს, რომ საერთო შეძახებით, ყიჟინითა და მათრახის ტკაცა-ტკუცით გაავთრებულ ცხენებს როგორმე აეტანათ ეტლი აღმართში.. დაღმართში დაქანების დროს კი იყო ქალების კივილი: „ვაი შვილო, დამეფსო ძვალები!“.

ნაწვიმარზე გავლა კიდევ უფრო საშიში იყო: აქ—„სადები“, *) იქ მქუხარე მდინარეთ გადაქცეული პატარა ღელე და უნდა გეძებნათ ფონი იქ, სადაც წინათ წყალი წვეთად მიძვრებოდა ქვიშაში.

ზამთარში წყალტუბო და მისი მიდამოები თვეობით წყდებოდა ქალაქს და მართლაც ვინმე ვაჟკაცი თუ ბედავდა გარდუვალი საჭიროების გამო ერთელა თოვლი, ან მთელი დღე ეზილა აყალო მიწის ტალახი.

ეხლა კი გზატკეცილია... ორივე მხარეზე ხროვებათ სდგას დამზადებული ნატეხი ქვა.

როცა წყალტუბოს მშენებლობა დამთავრდება და მუდმივათ ეყოლება 10—15 ათასი მოაგარაკე, როცა გუმბრინისა და ოხრის წარმოება გაფართოვდება—ამ გზას უნდა ექნეს სამი პარალელური ხაზი.

1) საავტომობილო — გუდრონით გადალესილი; 2) გზატკეცილი, როგორც ეხლა არის—საურმო და საცხენოსნო და 3) საქვეითო.

ამიტომ გზის ფართობი ეხლავ საჭიროა შემოიფარგლოს, თორემ შემდეგ ნაშენისა და ნარგავის აყრა ბევრ ნაშრომს იმსხვერპლებს.

ერთიც—კარგი იქნებოდა ამ გაფართოებულ გზას ორივ მხრით ჩაურგონ ხეები (უსათუოდ ერთი ჯიშის, სჯობია—ცაცხვი), რომ მგზავრს ჩრდილი ჰფარავდეს ქუთაისიდან აგარაკამდე..

.., დაბლობში გამოჩნდა თვით წყალტუბო.

რა რიგ გამოცვლილა!

სადღაა მესრით შემოვლებული დიდი ქართა, რომელშიაც სძოვდენ კამეჩები, ხარები, ცხვრები; დარბოდენ ქათმები, გოჭები (აგარაკზე მოსულთ პატარ-პატარა მეურნეობები ჰქონდათ აქ მოწყობილი); სადღაა აყირავებული ურმები და მათ ქვეშ მოკალათებული მთელი ოჯახები? სადღაა პატარა ოთახები, თითქმის მიწაზე დადგმულნი ფარღალალა კედლებით და ყავარ ყრილი სახურავებით?

არა, ეხლა შენების პროცესში მყოფი ევროპიული აგარაკია. ზოგიერთი შენობა ყურადღებას იპყრობს მოხდენილობითაც და სიდიდითაც (სასტუმრო, საკ. სამმართველოს, სოცდაზღვევის, სტალინის სახელობის და სხვა..)

გენერალური გეგმა ეხლა დგება. მუშაობს სამი კომისია: ბალნეოლოგიური, კლიმატოლოგიური და გეოლოგიური.

თუ ბელეტრისტს შეუძლია ასეთ საქმეში ჩაერიოს, ვიკითხავდი: **არ შეიძლება აქ, წყალტუბოში, წყლით მკურნალობას დაემატოს ხილითა და მზის სხივებით მკურნალობა? და რა შედეგს მოგვცემდა მათი მრავალგვარი კომბინაცია?**

ეს კი ვიცი, წყალტუბოს მიდამოების ლელვი და შავქლიავი—იშვიათია.

ერთიც კიდევ, ყოველ აგარაკს თან უნდა ახლდეს საექსკურსიო ადგილები, და ისინი უნდა გამონახოს აგარაკის მეხვეურებმა.

ჩემის მხრით დავასახელებდი სოფელ ყუმისთავს, რომელიც წყალტუბოდან 10—11 ვერსის მანძილზეა. აქ არის სტალაქტიტიც და სტალაგმიტის ძლიერ დიდი გამოქვაბული, საიდანაც გამოდის მდინარე ყუმი და რომლის თავზე ძველი ციხის ნანგრევებია. მდინარე ყუმი გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ იკარგება მიწაში და 1—2 ვერსის შემდეგ ისევ ამოდის მიწის ზედა-პირზე.

ეხლა წყალტუბოსათვის წყალსადენის გამოყვანის გეგმა მზადდება და მიზანშეწონილი იქნებოდა ამ მიზნითაც მიექციათ ყურადღება მდინარე ყუმისათვის.

გზაც წყალტუბოდან ყუმამდე ექსკურსიისათვის ჩინებულია: 5—6 ვერსის შემდეგ მგზავრი დაინახავს 60—70 ვერსით დაშორებულ ზღვის ხაზს, და როცა შიგ მზე ჩადის ფეერიული სანახაობა იშლება.. ვინ იცის, იქნებ, აქ მზის ჩასვლას ისე მიეტანოს ხალხი, როგორც კისლოვოდსკიდან მიდიან ბეშტაუზე მზის ამოსვლის დასანახავად...

* *

არ შეცვლილა მხოლოდ სამკურნალო წყალი—ნაზი, მოალერსე, დამამშვიდებელი.

ერთი შეცდომა დაუშვიათ, მგონი—აუზის ფსკერზე დაუფენიათ თლილი ქვა.. სჯობდა დაეტოვებინათ კენჭები, ოღონდ შეძლებისდაგვარად პრტყელ-პრტყელი კენჭებით შეეცვალათ, რომ ფეხებს არ ეხამუშებოდეს.. ავადმყოფისთვის უფრო თვალსაჩინოა, როცა ხედავს, თუ როგორ ამოდის მიწიდან სამკურნალო წყალი და ჟრუანტელივით უვლის ტანში..

ნიკო ლორთქიფანიძე.

---

*) სადები ჰქვია ისეთ ადგილს, სადაც შეიძლება ჩაეფლოს მგზავრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიიმპერიალისტური და თავდაცვითი ლიტერატურისათვის

ამჟამად, როგორც ყოველთვის მთელი მსოფლიო კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ყურადღება ისევ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული, ისევ გრძელდება კონტრ-რევოლიუციონური ლაყბობა და სისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ყურადღებისა და გაბოროტების საგანს მეორე ხუთწლედის პერსპექტივები წარმოადგენს, ამიტომაც არ ზოგავენ ისინი არც ერთ საშუალებას, რომ არ გამოიყენონ ჩვენს წინააღმდეგ, ჭორებისა და ათასგვარი სხვა სისაძაგლის საშუალებით ამზადებენ ნიადაგს ინტერვენციისათვის.

სწორედ ასეთი მორიგი პროვოკაციებისა და ინტერვენტული განწყობილებების მღვრიე ქაფის ამოძრავებას წარმოადგენდა და წარმოადგენს გორგულოვის ისტორია.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიამ მოინდომა თეთრგვარდიელი გორგულოვის გამოცხადება გეპეუს აგენტად და სხვ.—საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, თუ როგორ ტყავიდან ძვრებიან იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი გასვარონ, ომში გამოიწვიონ.

ისინი განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევენ საბჭოთა კავშირიდან გადახვეწილ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიონერებს, თეთრგვარდიელ ბანდებს, მათ გენერლებს, ადგენენ სამხედრო შტაბებში ათასგვარ სტრატეგიულ გეგმებს, აწარმოებენ შპიონაჟს.

ერთი მხრივ ხელს უწყობენ სამხედრო-მრეწველობის განვითარებას მაშინ, როცა საშინელი ეკონომიურ კრიზისს განიცდიან, მეორე მხრივ კი ეწევიან მშვიდობიანობაზე გაუთავებელ ლაყბობას, აწყობენ განიარაღების კონფერენციებს, რომ უფრო მოხერხებულად მოამზადონ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა, თვალი აუხვიონ მშრომელ მასებს ახალი იმპერიალისტური ომის მზადებაში.

სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა ჩვენს ქვეყანაში მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ბურჟუაზიას. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რად თხზავს ის მის წინააღმდეგ ათასგვარ ჭორებს, რაზმავს თეთრ გვარდიელების ბანდებს, ადგენს ათასგვარ სამხედრო გეგმებს. იყენებს ამ საქმეში პრესას, მწერლობას და სხვ.

ომის მზადებისკენაა მიმართული მსოფლიო ბურჟუაზიის მთელი პოლიტიკა, ღონისძიებანი, მთელი რიგი ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტებისა, მწერლებისა, პუბლიცისტებისა, პოლიტიკოსებისა ომის აუცილებლობის და საჭიროების იდეოლოგიას ანვითარებენ.

მაგრამ ასეთი ახალი სასაკლაოს მოწყობას ხელს უშლის საბჭოთა კავშირის არსებობა. ეხლა არც ისე ადვილად შეიძლება მასების გაბრიყვება ახალი სასაკლაოსათვის, როცა ჯერ კიდევ არ წაშლილა წარსული ომის კოშმარი და რაც მთავარია—დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გაბატონებულია მუშათა კლასი, რომელიც აშენებს სოციალიზმს.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო მუშათა კლასის ავანგარდია. ამიტომ მსოფლიო რევოლიუციონური მუშათა მილიონები ჩვენს მხარეზეა. ისინი ირაზმებიან კომპარტიების დროშის ქვეშ, იბრძვიან კაპიტალიზმის, სოციალ-ფაშისტურ მე-2 ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ბერლინში, ვარშავაში, ჰამბურგში, ამერიკისა და სხვა ქვეყნების მრავალ ქალაქებში დღითი-დღე იშლება კლასიური ბრძოლები. ყველაფერი ეს ხელს უშლის იმპერიალისტებს თავისუფლად მოაწყონ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა.

ამას გარდა საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს ახლა ისეთ ქვეყანას, რომლის წინააღმდეგ ადვილი იყოს ომის წარმოება. იგი ერთი უმტკიცესი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში თავისი აღმშენებლობით და წყობილებით, მილიონიანი შეგნებული მუშათა კლასით და კოლმეურნე მასებით, რკინისებური კომუნისტური პარტიით, კომკავშირით, ძლევამოსილი წითელი არმიით, პრესით, მწერლობით. ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება სოციალისტური მშენებლობის სახით, ახალი ისტორიული ფურცელია კაცობრიობის ცხოვრებაში. მილიონი ადამიანის ჯანი, აზრი, შესაძლებლობა ჩაბმულია ძველი, მონური ცხოვრების ნგრევაში და ახლის შენებაში.

ჩვენ ისე წინ ვართ წასული ახალი სოციალისტური ცხოვრებისაკენ, რომ წარსულისაკენ დაბრუნება არას დროს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამ ახალის დასაცავად სამკვდრო - სასიცოცხლოთ იბრძოლებენ მილიონი ადამიანები. ამისათვის სათანადოთ გამახვილებულია თავდაცვის საშუალებები, თავდაცვის უნარიანობა და შეგნება.

ამ უნარიანობის უდიდესი გამოხატულებაა მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი რკინისებური ჩვენი წითელი არმია. ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის ერთგულად დამცველი ძალა.

თავდაცვის უნარიანობისა და შეგნების უდიდესი შესაძლებლობა მოცემულია ჩვენი პრესისა და მწერლობის სახითაც.

ბურჟუაზია არ ზოგავს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში არც ერთ საშუალებას, იგი განსაკუთრებით მიმართავს პრესას და მხატვრულ მწერლობასაც. პრესა, მწერლობა ამ შემთხვევაში კლასიური ბრძოლის უდიდესი იარაღია. ამ მხრივ ხშირად იმას, რასაც კონტრ-რევოლიუციონური გენერლების სამხედრო შტაბები აკეთებენ, მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით კონტრ-რევოლიუციონური მწერლები ავრცელებენ. ასეთია ის ფაშისტური ლიტერატურა, რომელიც ამ ჟამად ვრცელდება დასავლეთ ევროპაში. ასეთივე მიზნებს ემსახურება ის ლიტერატურაც, რომელიც ომის საკითხებს ეხება, მაგრამ მას პაციფისტურ სამოსელში ხვევს, ეს ლიტერატურა უმთავრესად რემარკისტული ხაზით ვითარდება და ბურჟუაზიის ხელში ომის სასარგებლო პროპაგანდის როლს ასრულებს. ბურჟუაზიამ იცის ლიტერატურის ფასი და მისი გამოყენებაც. ეს თუნდაც იქიდანაც მტკიცდება, რომ მან განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ლ. ტროცკის კონტრ-რევოლიუციონური წერილების გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამითვე აიხსნება ის გარემოება, თუ რად ალპობს ციხეებში ბურჟუაზია რევოლიუციონურ მწერლებს, იმ მწერლებს რომლებიც აქტიურად ებრძვიან ფაშიზმს და საბჭოთა კავშირს იცავენ.

საბჭოთა კავშირს შეუძლია იამაყოს იმით, რომ მის დამცველთა რიგებში სდგანან ისეთი მწერლები, როგორიცაა ა. ბარბიუსი და რ. როლანი, ეპტონ სინკლერი და დოს-პასოსი, გლეზერი და ედმუნდ ვილსონი, სივერი და შერვუდ ანდერსონი, თეოდორ დრაიზერი და ბერნარდ შოუ.

უსათუოდ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ის ფაქტი, რომ მწერალთა ეს ფენა ანტიიმპერიალისტურ კონგრესსაც კი იწვევს, რომლის მიზანია უმთავრესად საბჭოთა კავშირის დაცვა. ეს კონგრესი აშკარაა არ ემსგავსება იმ სალაყბოს, რომლსაც ერთა ლიგის—ჟენევის მასკარადი ეწოდება.

უდიდესი რევოლიუციონური ხმაა საბჭოთა კავშირის დასაცავად ამ დღეებში ა. ბარბიუსის გამოსვლა საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ საბრალმდებლო წერილით: „ბრალს ვდებ“.

„ბრალს ვდებ საფრანგეთის ყველა მთავრობებს, რომლებმაც შესცვალეს ერთმანეთი ომის შემდეგ, იმაში, რომ მათ თავშესაფარი მისცეს, მხარს უჭერდნენ, ეხმარებოდნენ, აქეზებდნენ, ფინანსებს აწვდიდნენ და აიარაღებდნენ თეთრგვარდიელთა ყოველ ჯურის საზოგადოებებს“—აცხადებს ბარბიუსი ამ წერილში, „ბრალს ვდებ ტარდიეს იმაში, რომ იგი თამაშობდა უფრო საშინელ, ვიდრე სასაცილო კომედიას, ავრცელებდა რა პროპაგანდასა და ხელქვეით მოსყიდულ პრესის შემწეობით ხმებს იმის შესახებ, თითქოს გორგულოვი იყო ბოლშევიკი „ნეობოლშევიკი“-დან ბოლშევიკების იარაღი“.

რაზე ლაპარაკობს ეს ფაქტი?—იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი მარტო არ არის, მას იცავენ, მისი ინტერესებისათვის იბრძვიან კაცობრიობის საუკეთესო მწერლები.

ეს უკანასკნელი გარემოება კი უფრო მეტად ავალებს საბჭოთა ლიტერატურას იყოს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ნამდვილი და ღირსეული მწერლობა, ჩვენი ქვეყნის ინტერესების გამომხატველი და რაც მთავარია მისი თავდაცვითი უნარის განმტკიცების საქმეში აქტიურად მებრძოლი ძალა.

აშკარაა, ის მწერალი, რომელიც ფხიზლათ ეკიდება და სწორად ერკვევა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებს ქვეყნის თავდაცვითი ამოცანას. ეს უკანასკნელი კი იმას ნიშნავს, რომ დაიწეროს მხატვრული ტილოები წითელი არმიის როგორც გმირული წარსულიდან, ისე დღევანდელი მდგომარეობიდან. ეს არაა პატარა და უბრალო ამოცანა, რამდენად არა პატარა და უბრალო საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში სახელოვანი წითელი არმია და ფლოტი.

ერთ დროს დემიან ბედნი სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს მიერ დაჯილდოვებული იქნა სამოქალაქო ომში თავისი სიმღერებითა და სატირებით მონაწილეობისათვის—გმირობის ორდენით. ეს საამაყო მოვლენა იყო.

ასეთი „ორდენების“ მნიშვნელობას ასრულებენ რუსულ ლიტერატურაში მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: ფადეევის „განადგურება“, ი. ლიბედინსკის „შვიდი დღე“, ფურმანოვის „ჩაპაევი“ და სხვა.

დღევანდელ ეტაპზე—განიბესოვის „კომისართა ესკადრონი“, ვიშნევსკის—„პირველი ცხენოსანი“ და სხვ.

ქართული ლიტერატურა ომისა და ანტიიმპერიალისტური ხასიათის ნაწარმოებებით სუსტია, მით უფრო თავდაცვითი მხატვრული ფაქტებით.

მაშინ, როცა ჩვენი წარსული მდიდარია სამოქალაქო ომებისა და ინტერვენტული ლაშქრობის მაგალითებით, ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ორიოდე ნაწარმოები გამოხატავს ამ პროცესს. ასეთია მაგალითად შტრიხები ინტერვენტების შესახებ. რ. გვეტაძის რომანში—„თეო“, მენშევიკური ავაზაკობის შესახებ—ბ. ჩხეიძის „დღეებში“, მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში „ლამბალო და ყაშა“ იმპერიალისტურ ომზე ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ს. კლდიაშვილის „ფერფლი“ თავდაცვითი უნარიანობისა და წით. არმიის თემებზე საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს გ. კაჭახიძის ლექსები: „საღამოები ტილოს კარავში“, „წითელი ყაზარმა“. ირ. აბაშიძის—„სამი ლექსი თებერვალზე“, „დაეუფლე ტექნიკას“, გ. ტაბიძის „ყველა წითელი არმიელი იდგეს როგორც ლომი“, მ. ჩიქოვანის, ნარკვევი „თეთრი ქალაქი“, დ. შენგელაიას „რამდენიმე დღე ბრძოლის ველზე“, ა. ქუთათელის „წერილები ფრონტიდან“ (ნარკვევი). აი სულ ის, რაც ამ საკითხებზე მოიპოვება. თავის თავად ცხადია ეს ლიტერატურა ისე მცირეა, რომ ის ოდნავ ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ამოცანა აყენებს.

ეს ამოცანა გრანდიოზული ამოცანაა. მას ხარისხობრივად მებრძოლი და დიდი ლიტერატურა ესაჭიროება. თავდაცვისა და წითელი არმიის თემატიკა უცდის თავის მხატვრებს.

არც ერთმწერალს, რომელიც „მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და მიისწრაფის მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში“, არ შეუძლია გვერდი აუაროს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის ამოცანას.

პოლიტიკურად და მხატვრულად გამანადგურებელი პასუხი ფაშისტურ და სოციალ-ფაშისტურ, იმპერიალისტურ და ინტერვენციონისტების პროპაგანდას—ასეთია ამოცანა.

ალ. სულავა.

გარდავქმნათ ლიტწრეები და დამკვრელებთან მუშაობა

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის 31 ივლისის დადგენილება

1. მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშებთან ლიტერატურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, მათთვის აუცილებელი დახმარება სამწერლო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დღემდე ლიტერატურული ორგანიზაციების მხრივ მიმდინარეობდა ყოვლად არადამაკმაყოფილებლად.

2. ყოფილმა ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა ვერ გაუწიეს სათანადო ხელმძღვანელობა მუშათა ლიტერატურულ წრეებს, გამოიჩინეს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი დაუშვებელი უყურადღებობა, რითაც მოადუნეს ამ წრეების მუშაობა და დაშლამდე მიიყვანეს ისინი.

3. მწერლობაში გაწვეულ დამკვრელებთან მუშაობის და მუშათა ლიტწრეების საქმიანობის დაუყოვნებლივი და ძირითადი გარდაქმნა ჩაითვალოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად.

4. საკითხის დაწვრილებითი შესწავლისათვის, კონკრეტულ ღონისძიებათა დასამუშავებლად და წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად გამოიყოს სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: 1. ბეს. ჟღენტი (კომისიის თავმჯდომარე), 2. მიხ. ჩიქოვანი, 3. დიმ. ბენაშვილი, 4. საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენელი და 5. საქ. ა.ლ. კომკავშირის ცეკას წარმომადგენელი.

კომისიის მუშაობისათვის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს ამხ. ს. ეულს.

5. დაევალოს აღნიშნულ კომისიას მოამზადოს და ჩაატაროს მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშების და მუშათა ლიტწრეების საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც უნდა დამუშავდეს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგები. ამავე კონფერენციაზე უნდა გამომუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები დამკვრელებთან და ლიტწრეებში მუშაობის გასაშლელად.

6. კომისიამ დაამუშაოს საკითხი და საქ. პროფსაბჭოსთან ერთად ჩამოაყალიბოს ტფილისის მსხვილ წარმოებებში და აგრეთვე რესპუბლიკის რამოდენიმე ძირითად სამრეწველო რაიონში მუშათა ლიტწრეები და უზრუნველყოს ისინი სათანადო ხელმძღვანელობით. აგრეთვე უნდა მოეწყოს მწერლობაში გაწვეულ დამკვრელთა წრე და მოგვარდეს მათთვის სწავლებისა და კონსულტაციის პირობები.

7. დაევალოს საბჭოთა მწერლების კავშირის მასიურ ღონისძიებათა სექტორს დაამუშაოს კონკრეტულიკალენდარული გეგმა, სათანადო პროგრამებით და ამ საქმით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გაუწიოს ოპერატიული ხელმძღვანელობა მწერლობაში გაწვეულ დამკვრელებთან მუშაობას და ლიტწრეების საქმიანობას.

პროფკავშირების ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ლიტწრეების ორგანიზაციულად გამაგრება

დაზგებიდან და კოლმეურნეობებიდან მწერლობაში ახალი კადრების წამოწევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქნება დაყენებული ლიტწრეების მუშაობა.

ლიტწრეებს შეუძლიათ აღზარდონ და გზა გაუკაფონ მწერლობისაკენ არა ერთ და ორ ნიჭიერ მუშას და კოლმეურნეს. მწერალთა რიგებში ახალი ჯანსაღი ნაკადის შეტანის გარდა, ლიტწრეების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუშათა და კოლმეურნეთა ფართე მასებში სიყვარულისა და ინტერესის გაღვივება ლიტერატურისადმი, მათი დაინტერესება ლიტერატურის საკითხებით და მკითხველთა მასიური კონტროლის განმტკიცება წიგნზე. ამგვარად ლიტწრეებზეა უმთავრესად დამოკიდებული მასიური ლიტერატურულ მოძრაობის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტურ მხატვრულ ლიტერატურის შექმნას.

სამხატვრო - სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებით კიდევ უფრო დიდდება ლიტწრეების როლი და მნიშვნელობა.

აქამდე საქართველოში ლიტწრეების მუშაობას არ ქონია გარკვეული სისტემა, მათ არ ეწეოდათ გეგმიანი და მტკიცე ხელმძღვანელობა. ყოფ. ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა სრული უნიათობა გამოიჩინეს ამ საქმეში, რასაც, ლიტწრეების ქსელის ზრდის ნაცვლად, შედეგათ მოყვა არსებულ ლიტწრეების დაშლა.

მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევას, ამ უდიდესი პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობის ფაქტს, არ გამოუღია ის ნაყოფი, რომელიც შეიძლებოდა მოეცა მას, რომ ძველ ლიტერატურულ ორგანიზაციებს ამ საკითხისადმი სერიოზული ყურადღება მიექციათ.

პრ. მწ. ასოციაციამ და საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევას მისცენ კამპანიის ხასიათი, გამოეკიდენ რიცხვს და საკითხის მხოლოდ ფორმალურად გადაჭრით დაკმაყოფილდნენ.

როგორც ლიტწრეებში, ისე დამკვრელებთან ცალკე მეცადინეობას აღნიშნული ორგანიზაციები აწარმოებდნენ უსისტემოთ, სხვათა შორის.

ამაში არა ნაკლები ბრალი მიუძღვის პროფკავშირებსაც, კერძოდ პროფსაბჭოს კულტსექტორს.

პროფკავშირები სრულებით არ იღებდნენ და არ იღებენ მონაწილეობას ლიტწრეების მუშაობაში, მათ ორგანიზაციულად გამაგრებაში.

ეს იმ დროს, როცა ლიტწრეები, ისე როგორც სხვა წრეები (მუსიკალური, დრამატიული და სხ.) წარმოადგენენ წარმოებებში მხატვრულ მასიურ მუშაობის ერთ ძირითად ნაწილს და თვითმოქმედ ხელოვნების მთავარ რგოლს.

არც ერთ პროფკავშირს თავის კულტმუშაობის გეგმაში ერთი სიტყვითაც არა აქვს გათვალისწინებული მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშათა და მუშა-მწერლების ნაწერების გამოცემა.

საჭირო მუშაობისათვის ადგილკომებს ეძლევათ საგრძნობი თანხები ანარიცხების სახით, მაგრამ ამ თანხიდან ერთი კაპეიკიც არ ხმარდება ლიტწრეებს.

პროფკავშირები არავითარ დახმარებას არ უწევენ დამწყებ მწერლებს. პროფგამომცემლობას „შრომა და ტეხნიკა“-ს თავის საგამომცემლო გეგმაში სრულებით არ აქვს გათვალისწინებული დამწყებ მწერლების ნაწერების გამოცემა.

როგორც ცენტრში, ისე რაიონებში მუშათა კლუბებთან ლიტწრეები არც კი არსებობენ. თუ სადმე არსებობს ლიტწრე, მას კლუბის ხელმძღვანელობა არ უქმნის მუშაობისათვის სათანადო პირობებს. ზოგჯერ ხელსაც უშლიან კიდეც—ართმევენ სამეცადინო ბინას და სხვ. (მაგ. ქუთაისის ძაფსალების ქარხნის მუშათა კლუბი).

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება, რომელიც უშუალოდ შეეხება თვითმოქმედ ხელოვნების წრეებსაც, პროფკავშირებს და მათ ძირითად პროფორგანოებს არც კი განუხილავთ ამ წრეებში, არც რაიმე კონკრეტული ზომები მიუღიათ ამ დადგენილების საფუძველზე თვითმოქმედ ხელოვნების წრეების მუშაობის გარდასაქმნელად. ასეთ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

პროფკავშირებს შექმნილ მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობისაგან არ ანთავისუფლებს ის გარემოება, რომ ლიტწრეებზე ზრუნვა იკისრეს ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა (ყოფ. პრ. მწ. ასოციაცია და საბჭ. მწერლების ფედერაცია), რომლებმაც საჭირო ფხა და უნარი ვერ გამოიჩინეს ამ საქმეში, ლიტწრეებში და მწერლობაში დამკვრელ მუშებთან მუშაობის დარგში ასეთი ჩავარდნა გამოიწვია იმანაც, რომ პროფკავშირები განზე იდგნენ და სრულებით არ ეხმარებოდნენ ლიტორგანიზაციებს დასახულ ამოცანის განხორციელებაში.

პარტიის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, რაცა გულისხმობს ლიტორგანიზაციების შემოქმედებითი საკითხებისაკენ პირით მობრუნებას, ლიტორგანიზაციებს—საბჭოთა მწერლების კავშირს და მის ადგილობრივ განყოფილებებს, კიდევ უფრო გაუძნელდებათ ძველი გზით ლიტწრეებზე ხელმძღვანელობის გაწევა და მათში მუშაობა.

საბჭოთა მწერლების კავშირი უნდა განთავისუფლდეს ლიტწრეებში მუშაობისაგან—პედაგოგიურ, ორგანიზაციულ მუშაობისაგან, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს შემოქმედებითი მუშაობას.

ეს საქმე უნდა გადაეცეს პროფკავშირებს, რომლებმაც აუცილებელია თავიანთ მასიურ მუშაობის ცენტრში უნდა მოაქციონ ლიტწრეები. პროფკავშირები და მათმა ძირითადმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ ლიტწრეების ხელმძღვანელ კადრების მოსამზადებლად და ლიტწრეებში ყოველმხრივ ნორმალურ მუშაობის გასაჩაღებლად.

ლიტწრეების ხელმძღვანელებად შეიძლება გამოყენებული იქნენ მწერლები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს განსაკუთრებული შერჩევით, რადგან ყველა მწერალს, დიდი ტალანტის მქონეც რომ იყოს ის, არ შეუძლია ლიტწრის ხელმძღვანელობა და მასში პედაგოგიურ - აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, პროფკავშირების დახმარებით, უნდა გადაიქცნენ მუშათა მასიურ ლიტერატურულ მოძრაობის ნამდვილ ორგანიზატორებად.

ლიტწრეები უნდა იქნენ ისეთ პირობებში ჩაყენებულნი, რომ მათმა წევრებმა შეძლონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კედლის გაზეთებში, აგიტბრიგადებისათვის ცოცხალი და ჯანსაღ რეპერტუარის შექმნაში, ლოზუნგების შედგენაში და სხ.

ისე უნდა წარიმართოს ლიტწრეების მუშაობა, რომ რაც შეიძლება ფართე ხასიათი მიეცეს მათ ნიჭიერ წევრთა მწერლობაში წამოწევას, რამდენაც ლიტწრეებისათვის დახმარების გაწევა წარმოადგენს საბჭოთა მწერლების კავშირის და ადგილებზე მისი განყოფილებების ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას.

ამ მიზნით კავშირი შეეცდება გადაცეს და გაუზიაროს პროფესიონალურ, კვალიფიციურ მწერლების გამოცდილებანი ლიტწრეებში გაერთიანებულ დამწყებ მწერლებს.

კავშირმა უფრო გეგმიანად და მტკიცედ, ვიდრე ეს ხდებოდა დღემდე, უნდა შეისწავლოს ლიტწრეების მუშაობა, მათი პროდუქცია, გაუწიოს კონსულტაცია დამწყებ მწერლებს, სისტემატიურად აწარმოოს მათი შემოქმედებითი ნიმუშების კრიტიკული განხილვა და სხ.

არსებობს კიდევ მრავალი გზა და საშუალებანი, რომლებითაც მწერალთა კავშირს შეუძლია უდიდესი მონაწილეობის მიღება ლიტწრეების მუშაობაში. ამ მიმართულებით კავშირის მიერ მიღებული ღონისძიებანი გამოიღებენ სასურველ ნაყოფს მაშინ, თუ პროფკავშირები ორგანიზაციულად გაამაგრებენ ლიტწრეებს და უზრუნველყოფენ მათ პედაგოგ - ხელმძღვანელებით, იდეურ აღმზრდელობითი პირობებით და ნორმალურ მუშაობისათვის საჭირო თანხებით.

პროფკავშირებმა ლიტწრეების მუშაობაში უნდა მოახდინონ სრული გარდატეხა.

რ. გ—ძე.

სოციალისტურ ქვეყანას—სოციალისტური მწერლობა

საბჭოთა ლიტერატურის მთელი სასიცოცხლო ძალები ამჟამად ამოძრავებულია საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის საბრძოლველად. საქართველოში ჩვენ ვამთავრებთ ამ ბრძოლის დაწყებითი პერიოდს, ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა მწერლების ერთიანი ორგანიზაცია, სადაც გავაერთიანეთ საბჭოთა საქართველოს ლიტერატურის ყველა მნიშვნელოვანი ძალები იმ საერთო ამოცანების დასაძლევად, რომელთაც ასეთი სიმძაფრით და სიღრმით აყენებს მწერლობის წინაშე სოციალიზმში შემავალი ქვეყნის მშენებელი კლასი და მისი ავანგარდი—კომუნისტური პარტია.

მხოლოდ მათ, ვინც სრულიად ვერ გაიგო ცეკას ამ დადგენილების ნამდვილი შინაარსი, შეუძლიათ ამ ორგანიზაციულ გარდაქმნაში დაინახონ პარტიის მოთხოვნათა სრული რეალიზაცია. ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა მხოლოდ საშუალებაა იმ ნამდვილ, არსებითი, შინაარსობრივი გარდატეხისათვის საბრძოლველად, რომელსაც უნდა მივაღწიოთ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რათა დაჩქარებით აღმოვფხვრათ ამ ფრონტზე არსებული მნიშვნელოვანი გარღვევები, რათა წარმატებით დავსძლიოთ ის საგრძნობი ჩამორჩენილობა რომლითაც ხასიათდება საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მდგომარეობა სოციალიზმის მშენებლობის ეხლანდელ ვითარებასთან და ტემპებთან შედარებით.

ამიტომაც პარტიის ამ ისტორიულ დადგენილებიდან გამომდინარე და მის ნიადაგზე აღმოცენებულ მთელ რიგ პრობლემათა დამუშავება, ამ დადგენილების სწორი კონკრეტიზაცია მხატვრულ მშენებლობის სპეციფიურ საკითხებში, მათი სწორი გამოყენება ჩვენს შემოქმედებით, თეორიულსა და პრაქტიკულ მუშაობაში წარმოადგენს იმ ამოცანას, რომლითაც უნდა განისაზღვროს ჩვენი სალიტერატურო საქმიანობის ეხლანდელი ეტაპი.

რამდენად სწორად და ღრმად გავიგებთ ცეკას დადგენილების ნამდვილ შინაარსს, რამდენად შევძლებთ მთელი ძალების მობილიზაციას ამ შინაარსობრივ გარდატეხისათვის საბრძოლველად, ამისაგან არის დამოკიდებული საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების ახალ, უმაღლეს ეტაპზე აყვანის შესაძლებლობა—ე. ი. იმ ეფექტის მიღწევა, რომლისაკენაც მიმართულია ეს ისტორიული დოკუმენტი.

პარტიის მე-17 კონფერენციის მიერ დასახული ძირითადი პოლიტიკური ამოცანა—მეორე ხუთწლედის მანძილზე უკლასო, სოციალისტური საზოგადოების აგების შესახებ—აყენებს ყველა საშუალებათა და მთელი ძალების მაქსიმალური მობილიზაციის აუცილებლობას ამ უდიდეს ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ამიტომაც ჩვენ ვალდებული ვართ კიდევ მეტად განვამტკიცოთ და გავამახვილოთ „კლასის სულიერი იარაღი“, მეტი სიღრმითა და სიძლიერით გავშალოთ მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკა, კერძოთ მხატვრული მწერლობა, რომელსაც ევალება დარაზმოს და გარკვეული მიმართულებით აამოძრავოს ურთულეს წინააღმდეგობათა დასაძლევათ ამხედრებული მილიონების შეგნება, გაზარდოს და გაღვივოს მასების მებრძოლი ენტუზიაზმი, მოგვცეს დღევანდელობის ნამდვილი გარდამქმნელი გამოხატულება.

23 აპრილის დადგენილებამდე იყო ცდა ამ ამოცანებისათვის ბრძოლა გადაექციათ საბჭოთა მწერლობის ერთი ნაწილის—პროლეტმწერალთა ასოციაციის და მისი ხელმძღვანელი ჯგუფის მონოპოლიურ უპირატესობად. არ სწარმოებდა ბრძოლა ამ ამოცანების ირგვლივ მწერლობის დარჩენილი ფენების ნამდვილი დარაზმვისა და მობილიზაციისათვის. არ ექცეოდა ყურადღება მხატვრულ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ძალების შემობრუნების ფაქტს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პოზიციებისაკენ. არ ხდებოდა ლიტერატურის ფრონტზე ბელადის ისტორიულ მითითებათა გამოყენება. აქედან ჯგუფობრივი კარჩაკეტილობა პროლეტმწერალთა ასოციაციაში, აქედან პროლეტმწერალთა იდეური გავლენის შესუსტება მწერლობის დანარჩენ ფენებზე, საქმეში ადმინისტრატიული მეთოდების გამოყენება და საერთოდ მწერლობის დაშორება ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაგან.

ამიტომაც 23 აპრილის დადგენილება თავისი მახვილით მიმართულია „მემარცხენე“ ვულგარიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამოცანაა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ მომქმედ ლიტერატურულ ძალას, რომელიც ისწრაფვის დაუახლოვდეს და შეუერთდეს სოციალიზმის მშენებელთა არმიას, შექმნას ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ უფრო გადაჭრით და გაბედულად დაიჭიროს კომუნიზმისათვის ბრძოლის პოზიციებისაკენ, უფრო კატეგორიულად გაემიჯნოს ანტიპროლეტარულ ბანაკს, მეტი ძალით შეებრძოლოს მოწინააღმდეგე კლასების იდეოლოგიის ნარჩენებს როგორც საერთოდ, ისე საკუთარ შეგნებაშიაც.

ჩვენი ეპოქის შესაფერი ლიტერატურის შექმნის ამოცანა მოითხოვს ნამდვილ და თავისუფალ შემოქმედებითი შეჯიბრის გაშლას ყველა მათ შორის ვისაც სურს იმუშაოს საბჭოთა ხელოვნების ფრონტზე. ამიტომაც უარყოფილია როგორც ვისიმე ხელოვნურად შეზღუდვისა და შებორკვის პოლიტიკა ამ ბრძოლაში, ისე მეორეს მხრივ პოლიტიკა მწერალთა ნაწილის უზრუნველყოფისა პროლეტარულ მწერლის მანდატით—ვისთვისმე ხელოვნური უპირატესობის და გეგემონიის დასაკუთრების ტენდენცია.

ყველა შემზღუდველი, სქოლასტიურ შტამპათ ქცეული ფორმულების მოხსნით („მოკავშირე, ან მტერი“, „პროლეტმწერლობის გენერალური ხაზი“ და სხ.) ყოველგვარი უსაფუძვლო უპირატესობათა ტენდენციების აღმოფხვრით საბჭოთა მწერლობის ერთიან ორგანიზაციაში ჩვენ უნდა შევსძლოთ ნამდვილი შემოქმედებითი სოცშეჯიბრის გაშლა, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი მხატვრული კულტურის სერიოზული და ღრმა განვითარება, მხოლოდ ამ საშუალებით უნდა იქმნებოდეს ჩვენი კლასის მხატვრული კულტურა, როგორც საკაცობრიო კულტურის დიალექტიურ განვითარების ღირსეული მემკვიდრე, მისი უმაღლესი საფეხური და ნამდვილი იდეურ-ხარისხობრივი მწვერვალი.

ჯერ კიდევ 1925 წლის ცნობილი რეზოლიუციით პარტიამ სახელოვნო პოლიტიკის ძირითად პრინციპად აღიარა მხატვრული ფორმის საკითხებში, შემოქმედების სპეციალური საშუალებათა სფეროში თავისუფალი შეჯიბრის და კონკურენციის იდეა. ამიტომ მხატვრულ შემოქმედების სპეციფიურ პროცესს ჩვენ ვერ შევზღუდავთ წინასწარ დადგენილი ნორმატიული დოგმებით. ჩვენ ვერ მივიღებთ რომელიმე მხატვრულ მიმდინარეობის მონოპოლიას, ვერ დავაკანონებთ მხატვრულ ერთფეროვნებას, როგორც ამის ცდებს ადგილი ქონდა პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მხრივ „სტოლბოვაია დოროგა“-ს დაკანონების სახით, როცა ამგვარი რეგლამენტაცია ექცეოდა „ცოცხალ ადამიანის“, „გარმონიული ადამიანის“, „ფსიქოლოგიური თვითანალიზის“, „უშუალო შთაბეჭდილებების“ და სხვ. მსგავს თეორიებს, რომელთა საფუძველი იდეალისტურ ფილოსოფიის სხვადასხვა განშტოებებში მდგომარეობს და რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მუშათა კლასის მსოფლმხედველობასთან — მატერიალისტურ დიალექტიკასთან.

ლენინი ჯერ კიდევ 25 წლის წინად გვასწავლიდა, რომ ლიტერატურას ჩვენ არ ვქმნით დეკრეტებით, რომ მწერლობაში ჩვენ არ ექადაგებთ ერთფეროვნებას. ამიტომ კატეგორიულად უნდა უკუვაგდოთ მწერლობაში ჟანრობრივი მონოპოლიზმის და „აკრძალულ ჟანრების“ ტენდენცია. აგრეთვე უნდა მოვხსნათ „თემატიური ლოკალის“ ზღუდეები, მხოლოდ ვულგარიზატორები ფიქრობენ, რომ სოციალიზმში შემავალ ქვეყნის მწერლობა შეიძლება აშენდეს დღევანდელობის მასალებით ვიწროდ განსაზღვრულ თემატიკაზე.

მაგრამ აქ იბადება საფრთხე, ამ „შემოქმედებითი თავისუფლების“ ყალბად გაგებისა. არიან მწერლები, რომელთაც გონიათ, რომ ცეკას დადგენილებით განსაზღვრული ახალი ეტაპი გულისხმობს მწერლობაში „იდეური ნეიტრალობის“ აღიარებას, მწერლობის მიმართ იდეურობის მოთხოვნის მოხსნას ან შემცირებას.

ცხადია ასეთი გაგება იქნებოდა სრული დამახინჯება და აბსოლუტური ვერგაგება, ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მწერლობის დარაზმვაში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების ირგვლივ. ეს გარემოება თავისთავად გულისხმობს მწერლობის იდეურ სიმტკიცეს, მისი გამსჭვალვის აუცილებლობას სოციალიზმის მშენებელი კლასის საბოლოო იდეებით და მათი განხორციელებისაკენ მიმართული მშენებლობითი პრაქტიკის ყოველდღიურობით, მწერლობაში იდეურობისა და პარტიულობის საკითხი კი არ მოიხსნა, არამედ იგი ისმება მეტის სიღრმით და მოცულობით. ცეკას დადგენილების ნამდვილი რეალიზაცია გულისხმობს იმას, რომ მუშათა კლასის იდეებით ამოძრავებული შემოქმედება შეადგენდეს არა რომელიმე ლიტ. ორგანიზაციის მონოპოლიას, არამედ ასეთივე მწერლობისათვის ბრძოლაში ჩაებას მხატვრული სიტყვის ოსტატთა მთელი არმია. საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე დგომა და სოცმშენებლობაში მონაწილეობისაკენ სწრაფვა—არის ის ძირითადი ნიშანი, რომლითაც ჩვენ ვსაზღვრავთ საბჭოთა მწერლის ცნებას. აქედან თავისთავად გამომდინარეობს მთელი საბჭოთა მწერლობის იდეური სიმტკიცის და გარკვეულობის ამოცანა. მხოლოდ ამ ძირითადი პირობის ნიადაგზეა შესაძლებელი შემოქმედებითი შეჯიბრის და თავისუფალი მხატვრული კონფერენციის გაშლა.

ლენინმა თავის ცნობილ წერილში პარტიული ლიტერატურის შესახებ იშვიათი სიღრმით დაამტკიცა, რომ ნამდვილად თავისუფალი მხატვრული შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მხატვარი გულწრფელად და ორგანიულად უკავშირდება თავის კლასის ინტერესებს, როცა მისი შემოქმედების იმპულსს წარმოადგენს გარკვეულ კლასისათვის სამსახურის გაწევის გულწრფელი სურვილი და „არა ანგარება, ან სხვა რაიმე მოსაზრება.

ამრიგად ცეკას დადგენილების აზრი გულისხმობს მწერლობაში იდეური მომენტის კიდევ მეტად განმტკიცებას. თუ ჩვენ ეხლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ მხატვრულ ფორმის და ოსტატობის ხარისხის საკითხს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ დღემდე შემოქმედების ამ მომენტს არ ექცეოდა საჭირო ყურადღება. მარქსისტ-კრიტიკოსთა უმრავლესობა და ლიტორგანიზაციების ხელმძღვანელობა ნაწარმოების შეფასებას ახდენენ მხოლოდ და უმთავრესად მისი პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით. ივიწყებდნენ, რომ მხატვრულმა ნაწარმოებმა იდეია უნდა მიიტანოს მასების შეგნებამდე მხატვრული ფორმის საშუალებით, რომ მხატვრული ფაქტი უნდა არწმუნებდეს ადამიანს, ძლიერი ზეგავლენის მქონე თავისი სპეციალური ენით.

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის მწერლობა—არის კაცობრიობის მხატვრულ კულტურის ხარისხობრივად ახალი და უმაღლესი ეტაპი, ამიტომაც კაცობრიობის მიერ ამ სფეროში მოპოვებულ და დაგროვილ სიმდიდრეთა დიალექტიური დაძლევის ნიადაგზე ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მხატვრული მეტყველების საშუალებათა ახალი და სრულყოფილი ფორმებისათვის. ბრძოლა მწერლობის ბოლშევიკური ხარისხისათვის, რომელიც ბუნებრივად გულისხმობს მწერლების იდეურ გარკვეულობას, ამავე დროს ყურადღების ცენტრში აყენებს ნაწარმოების ოსტატობრივი კვალიფიკაციისათვის ბრძოლის ამოცანას.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან არ ვთიშავთ ოსტატობისა და იდეურობის მომენტს მხატვრულ შემოქმედებაში, რომ მხატვრულ ხარისხისათვის ბრძოლა სრულიად არ ნიშნავს „იდეურ ნეიტრალიზმის“ აპოლოგიას.

მხოლოდ ცეკას დადგენილებით „უკმაყოფილო“ „მემარცხენე“ ვულგარიზატორების, ან დადგენილების თავისებურად გაგებისა და გამოყენების სურვილით ამოძრავებულ მწერალთა მემარჯვენე ნაწილს შეუძლია ამ ისტორიულ დოკუმენტის კვალიფიკაცია, როგორც პარტიის ძირითად სახელოვნო პოლიტიკის ხაზიდან უკან დახევა და რაიმე მემარჯვენე კურსის აღება. დამახასიათებელია, რომ ხსენებული დოკუმენტის ამგვარად გაყალბების ცდაში ერთმანეთს შეხვდა მწერლობის ეს ორი უკიდურესად მოწინააღმდეგე ბანაკი, როგორც ეს სწორად შენიშნა თავის მოხსენებაში საბჭოთა მწერლების ყრილობაზე ამხ. გ. ყურულაშვილმა.

ცხადია საბჭოთა მწერლობის ერთიანი ორგანიზაციის შექმნით არ ისპობა მწერლობაში კლასობრივი ბრძოლა და არ იხსნება კლასობრივი მწერლობის განმტკიცების ამოცანა. ჩვენ უკლასო საზოგადოებისაკენ მივდივართ გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის გარემოცვაში.

პარტიის მე-17 კონფერენციამ, რომელმაც დასახა უკლასო საზოგადოების აგების ხუთწლედის ამოცანა, გარკვევით აღნიშნა, რომ მეორე ხუთწლედის მანძილზე სოციალისტურ მშენებლობის ზოგიერთ უბნებზე ჩვენ გვექნება კლასობრივი ბრძოლის კიდევ მეტი გამძაფრება და გაცხოველება. აქედან ცხადია, რომ იდეოლოგიის და კერძოდ ლიტერატურის ფრონტზედაც ჩვენ განვაგრძობთ კლასობრივ ბრძოლას. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ განადგურებული მოწინააღმდეგე კლასების იდეოლოგიის გავლენა ჯერ კიდევ ცოცხალია ლიტერატურის ფრონტზე. ბრძოლა ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ყოველგვარი ლიტერატურული აგენტურის წინააღმდეგ რჩება ჩვენს გადაუდებელ ამოცანად. ამავე დროს თანამგზავრული მწერლობის შეგნებაში ჯერ კიდევ საგრძნობია არაპროლეტარული იდეოლოგიის ნარჩენები. მათთან ბრძოლის გზით თანამგზავრთათვის იდეური დახმარების გაწევაც წარმოადგენს მწერლობაში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ თავისებურ ფორმას.

მწერლობაში არ გათავებულა კლასობრივი ბრძოლა და დიფერენციაციის პროცესი. იმის მიხედვით, თუ რომელი მწერალი უფრო ღრმად, ძლიერად და სწორად გაიგებს და გამოხატავს სოციალიზმის მშენებელ ეპოქას, ჩვენ მომავალშიაც დავახარისხებთ მწერლობას, განვაგრძობთ მის დიფერენციალურ შეფასებას, მაგრამ თუ დღემდე პროლეტარული მწერალი განისაზღვრებოდა ორგანიზაციული ცნებით, თუ „თანამგზავრი“ და „მოკავშირე“ ფაქტიურად ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რა მანძილით მიუახლოვდა ესა თუ ის მწერალი პროლეტმწერალთა ასოციაციის სალიტერატურო ხაზს, დღეიდან კრიტერიუმად აღიარებული იქნება მწერლის მიერ კლასის ინტერესების და ამოცანების შეგნება და მისი შესაფერი მხატვრული პროდუქცია, მხოლოდ პროდუქციის იდეურ-მხატვრული ხარისხი იქნება ერთად-ერთი საზომი მწერლობის დიფერენციაციის დროს.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაცია, ცხადია არ ნიშნავს პროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწეროთ ლექსი, ნარკვევი, რომანი ცხენის შესახებ

28 ივლისს მწერალთა სასახლეში შესდგა ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის და სპეციალისტების ამხანაგური შეხვედრა საქართველოს საბჭოთა მწერლებთან, ჟურნალისტებთან, ხელოვნების მუშაკებთან და ამიერ-კავკასიის კომკავშირის წარმომადგენლებთან. საღამო მოწყობილი იყო „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ამიერ-კავკასიის განყოფილების და „მოლოდოი რაბოჩი“-ს რედაქციის ინიციატივით. საღამო მიძღვნილი იყო ბუდიონის ლაშქრობისათვის ცხენისა და საკვებისათვის.

საღამოზე ამიერ-კავკასიის მიწსახკომის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ლაშქრობის ცენტრალურ შტაბის უფროსის ამხ. **ბუდიონის** წერილი **მაქსიმ გორკისადმი**.

ამხ. ვეზიროვის შესავალი სიტყვის შემდეგ საღამოზე გამოვიდა საკავშირო ა.ლ.კ.კ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **მეჯიდოვი**. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლაშქრობის ცენტრალური შტაბის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **სტეპანოვი** და სხვ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ბ. ჟღენტი** და მთელი რიგი სხვა მწერლები.

ამხ. ვეზიროვი

ა.-კ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარი

უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციები და საბჭოთა მწერლები დღემდე არ არიან ჩაბმული ლაშქრობაში ცხენისა და საკვებისათვის. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა მწერლებმა ამ მხრივ მაგალითი უნდა აიღონ მაქსიმ გორკისაგან, რომელიც დროზე ჩაება მეცხენეობის განვითარების საქმეში.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ღარიბია ამ დარგში. ამ მიმართულებით ჩვენ თითქმის არაფერი გვაქვს. მე ვფიქრობ, რომ თვითეულ საბჭოთა მწერალს უნდა ჰქონდეს რამდენიმე ლექსი მაინც ამ თემაზე. ჩვენმა პრესამ უნდა გააშუქოს ეს საკითხები. დღემდე თქვენ ვერ მოგვეცით ვერც ერთი ლექსი, ვერც ერთი ნარკვევი ამ თემაზე, ეს კი მეტად საჭიროა.

ჩვენ არაფერი არ გვაქვს ამ მიმართულებით კინოშიც. ზოგიერთები ფიქრობენ: „რა შუაშია აქ ხელოვნება? მხატვრები, აქტიორები, მუსიკოსები და... ცხენი“. მე ვფიქრობ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რატომ არ შეიძლება გვქონდეს მუსიკა ცხენის შესახებ? რატომ არ უნდა მიიღოს მხატვარმა მონაწილეობა ცხენისა და საკვების ლაშქრობაში?

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ამით არ უნდა ამოიწუროს. ჩვენ ის უნდა გავიმეოროთ, თუ გვინდა შევასრულოთ ის დიდი ამოცანა, რომელიც დაგვაკისრა პარტიამ და ხელისუფლებამ.

ამხ. მეჯიდოვი

საქ. ა.ლ.კ.კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! ლენინურმა კომკავშირმა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილების საპასუხოდ შეფობა აიღო ცხენზე. შეფობის ცენტრალური ამოცანაა კიდევ უფრო ენერგიული ბრძოლის გაჩაღება კულაკურ აგიტაციის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ცხენის განადგურებისაკენ. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ცხენის როლის შეუფასებლობას სოფლის მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

სა. ლ.კ.კ. ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტი საკავშირო კომკავშირის ცეკას დადგენილების თანახმად ამიერ-კავკ. მიწსახკომთან ერთად 1-ლ სექტემბერს პირველად მთელს საბჭოთა კავშირში ატარებს „ცხენის დღეს“. ამ დღის ამოცანაა კომკავშირის მუშაობის შემოწმება ცხენზე შეფობის აღების დარგში.

ჩვენ „ცხენის დღე“ უნდა ჩავატაროთ როგორც მასიური დღესასწაული და კარგ შედეგებს მივაღწიოთ ცხენების შენარჩუნების და მეცხენეობის განვითარების დარგში.

დღევანდელი თათბირით საფუძველი ეყრება ამიერ-კავკ. პროლეტარული მწერლების მონაწილეობას ცხენისა და საკვების ლაშქრობაში.

ამხ. ქვარცხავა

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი

ამიერ-კავკ. პარტიული ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას აძლევს ბუდიონის ლაშქრობას, საკითხს სოციალისტური მეცხოველეობისათვის საკვების მტკიცე ბაზის და ამიერ-კავკასიაში მეცხენეობის ფართოდ გაშლის შესახებ.

ბუდიონის ლაშქრობის წარმატებით ჩატარება აუცილებლად გამოიწვევს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას. ის ცეცხლს წაუკიდებს თივას, პროვოკაციულ მუშაობას გასწევს საკვებისა და ცხენის საკითხების გარშემო და შეეცდება ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ჩვენი გეგმების ჩაშლას. საჭიროა პარტიულმა ამხანაგებმა, კომკავშირელებმა, კოლმეურნე-დამკვრელებმა და ჩვენმა მწერლებმა განმანადგურებელი პასუხი გასცენ კულაკს და მის აგენტურას—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს.

დასასრულ, მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ დღევანდელმა თათბირმა ვერ მოგვცა ის ეფექტი, რომელსაც ჩვენ მოველოდით. ამის მიზეზია ის, რომ თათბირს არ დასწრებიან დამკვრელები, კოლმეურნეები, მეცხენეობის, ქარხნების მუშების და სხვა საწარმოების წარმომადგენლები.

ამხ. ბ. ჟღენტი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი

საქართველოს მწერლები და პოეტები იღებენ ა.-კ. კომკავშირის გამოწვევას.

ჩვენმა პრეზიდიუმმა გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბუდიონის ლაშქრობაში საკვებისა და ცხენისათვის. ჩვენ გადავსწყვიტეთ ჩავებათ ამ ლაშქრობაში და ფეხზე დავაყენოთ მწერალთა მთელი აქტივი ამ ლაშქრობის წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩვენში ადგილი აქვს ცხენის, როგორც გამწევი ძალის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ერთ-ერთი ელემენტის, შეუფასებლობას. ამიტომ ბრძოლა იმისათვის, რომ ცხენმა სათანადო ადგილი დაიკავოს ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაში — მეურნ. სოციალისტური რეკონსტრუქციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, ჩვენ ვფიქრობთ შტაბთან ერთად, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ლაშქრობას, შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებსაც იკისრებენ ჩვენი პოეტები და მწერლები.

ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამ ღონისძიებებს, გავატარებთ მათ ისე, როგორც შეფერის სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის მწერლებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს: ჩვენ ვებმებით შტაბში, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ლაშქრობას; ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ მეცხენეობის საქმის მდგომარეობის გამოკვლევასა და შესწავლაში, რისთვისაც ვაწყობთ მწერლების მოგზაურობას კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. ვსწერთ ნარკვევებს და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ასახული იქნება მეცხენეობის მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში.

ჩვენ მოვალედ ვსთვლით ჩვენს თავს, რომ დღეიდან ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ შეიქმნეს მასიური სიმღერები, მასიური ლექსები, რათა ამით აგიტაცია გავსწიოთ ცხენის მნიშვნელოვანი როლის სასარგებლოდ სოფლის მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

ჩვენ შევეცდებით დავსწეროთ სპეციალური წიგნები ცხენზე, რათა ჩვენს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს და მშრომელ ინდივიდუალურ გლეხებს ექნეთ სპეციალური სიმღერები ცხენისა, საკვები ბაზისა, სილოსისა და თივის შესახებ.

ყველა ჩვენი კონკრეტული ღონისძიებები მიმართული იქნება იქითკენ, რომ პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები შესრულებული იქნეს ისე, როგორც შეფერის ბოლშევიკებს და სოციალისტური ხელოვნების მუშაკებს.

ამხ. ატორიანი

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სომხ. სექციის თავმჯდომარე

ამხანაგებო, მწერლებისათვის ნათელია ამ ლაშქრობის მიზნები და ამოცანები.

ჩვენ, მწერლებმა კონკრეტული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ამ კამპანიაში, დავრაზმოთ საბჭოთა საზოგადოებრივობა ამ საკითხის გარშემო და ვიკისროთ კონკრეტული ვალდებულებანი შემოქმედებითი შრომის დარგში.

გამოდის რა იქიდან, რომ ცხენს და სილოსს არ უყვართ დეკლარაციები, არამედ მოითხოვენ კონკრეტულ მუშაობას, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურმა სექციამ გადასწყვიტა მიემაგროს ახალქალაქის რაიონს და აწარმოოს იქ კონკრეტული მუშაობა. სომხური სექცია სოცშეჯიბრებაში იწვევს ქართულ და თურქულ სექციებს და არბიტრად ირჩევს ამიერ-კავკასიის მიწსახკომის კოლეგიას.

ამხ. სტეპანოვი

ლაშქრობის ცენტრალურ შტაბის პრეზიდიუმის წევრი

მხურვალედ უნდა მივესალმოთ კომკავშირის სამხარეო კომიტეტის, ამიერ-კავკასიის მიწსახკომის, „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ა.-კ. განყოფილების და გაზეთ „მოლოდოი რაბოჩი“-ს წამოწყებას, რომლებმაც სათანადო სიმაღლეზე დააყენეს საკითხი ლაშქრობის შესახებ ცხენისა და საკვებისათვის. უნდა ითქვას, რომ ბუდიონის ლაშქრობა არის ის ცოცხალი ძალა, რომელიც დაეხმარება ამიერ-კავკასიას გამოვიდეს იმ დამკვრელი რესპუბლიკების და ოლქების რიგებში, რომლებიც იბრძვიან მეცხენეობის განვითარებისა და სოციალისტური მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან ჩვენ საბჭოთა კავშირმა გადაჭარბებით შევასრულეთ მთავრობის დავალება სილოსის და თივის დარგში, ა.-კ. ამ მხრივ საგრძნობი ჩამორჩენა განიცადა.

დღესდღეობით ამ ფრონტზე ისეთი მდგომარეობაა, რომ აუცილებელია ბოლშევიკური განგაშის ატეხა. სასილოსო და თივის აღების კამპანიის ტემპები აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

ამ ლაშქრობაში წამყვან ძალად აღმოჩნდა ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი კომკავშირი და მისი მებრძოლი ორგანო „მოლოდოი რაბოჩი“.

რა ამოცანები სდგას მწერლების, პოეტების და ხელოვნების მუშაკების წინაშე?

მაქსიმ გორკი გამოვიდა მებრძოლი წერილით, „ცრუმორწმუნეობა ანადგურებს მილიონ ფუთ თივას“. ამ წერილის საპასუხოთ ცენტრალურ შტაბში ამხ. ბუდიონის და გორკის სახელზე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან მოდის დადგენილებები და წერილები, რომლებშიაც ლაშქრობის დამკვრელები თავის თავს აცხადებენ მაქსიმ გორკის სახელობის ბრიგადებათ და ირჩევენ მას საპატიო მცველად. მოსკოვის საუკეთესო კომკავშირული პოეტები გორკის წერილს გამოეხმაურენ პოემებით, კოლმეურნეობებში მოგზაურობით და რომანებით. უკვე მზადდება მხატვრული ხმოვანი კინო-ფილმები, რომლებიც მიძღვნილი იქნება ბუდიონის ლაშქრობისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამიერ - კავკასიის მწერლები, თავისი თბილისელი ამხანაგების და მოსკოველების მაგალითის მსგავსად, აგრეთვე აქტიურად ჩაებმებიან ლაშქრობაში.

ამხ. ა. ბატურინი

მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი

ძალიან ვწუხვარ, რომ მუშაობა საშუალებას არ მაძლევს მონაწილეობა მივიღო დღევანდელ საღამოზე. აქტიორები თავისი ხელოვნებით წავლენ კოლმეურნეობებში. მე მოხარული ვიქნები გამოვიდე იმ კოლმეურნეობაში ანდა საბჭოთა მეურნეობაში, რომლებიც მოწინავენი აღმოჩნდებიან ცხენისა და საკვებისათვის ბრძოლაში.

ვესალმები თბილისელ ამხანაგებს, რომლებიც ჩაებმენ ლაშქრობაში.

ლეტარიატის კლასობრივი მწერლობის მოხსნას, ან მისი შემდგომი განმტკიცება-განვითარებისათვის ბრძოლის შენელებას.

ცეკას დადგენილების ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა სწორედ პროლეტარიული მწერლობის ისეთი გაზრდა, რომელმაც ვეღარ შეითვისა ასოციაციის ვიწრო ჩარჩოები და მიზანშეუწონლად აქცია განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციის არსებობა.

გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლებით მოცულ გარდამავალ პერიოდში ცხადია, ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას ჩვენი კლასიური პოზიციების განსამტკიცებლად მწერლობაში, მაგრამ უნდა აღმოფხვრათ ის უხეში შეცდომა, რომელიც ჩადენილი იყო პროლეტარულ მწერლობის დაპირისპირების სახით—სოციალისტური მწერლობისადმი.

გარდამავალი პერიოდის ნამდვილი საბჭოთა მწერლობა, რომელიც არის ჩვენი კლასიური ბრძოლის ერთ-ერთი უმახვილესი იარაღი, ცხადია კლასობრივია, იგი გამოხატავს სოციალიზმის მშენებლობის ეპოპეას, იმიტომ, რომ იგი პროლეტარული მწერლობაა. მაგრამ ამავე დროს ის სოციალისტურიცაა თავისი არსებით და შინაარსით, იმიტომ, რომ იგი თვითონ იბრძვის სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მის ძირითად განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ტენდენციას სოციალიზმისათვის ბრძოლა წარმოადგენს.

პროლეტარიატის კლასობრივი დიქტატურის სახელმწიფოს ეწოდება სოციალისტური სახელმწიფო, რადგან მისი საშუალებით ჩვენ უშუალოთ გადავდივართ სოციალისტურ საზოგადოებაში და ამ ამოცანით არის განპირობებული ჩვენი სახელმწიფოებრივობის ყოველი ელემენტი. სწორედ ასევე გარდამავალ პერიოდში ჩვენი კლასობრივი — პროლეტარული მწერლობა ამავე დროს არის სოციალისტურიც, როგორც უკანასკნელი საფეხური და აუცილებელი წინამძღვარი უკლასო საზოგადოების მწერლობისათვის, რომლის ელემენტები უკვე მოიპოება პროლეტ. ლიტერატურის დღევანდელ ბუნებაში.

ცხადია, შეუძლებელია გარდამავალ პერიოდის პროლეტარულ მწერლობის გაიგივება — სოციალისტური საზოგადოების მწერლობასთან. ეს უკვე სრულიად ახალ პერიოდს გულისხმობს, კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის, უკლასო საზოგადოების მწერლობას, რომელიც იქნება უკვე არა კლასთა ბრძოლის იარაღი, არა ადამიანთა შორის ბრძოლის საშუალება, არამედ განთავისუფლებულ ადამიანის—ბუნებასთან დაპირისპირების, ჰარმონიული საზოგადოების შემდგომი სრულყოფის ფაქტორი და იარაღი.

მაგრამ ასეთი მწერლობის შექმნამდე ჩვენ გვაქვს მთელი მანძილი—სოციალიზმის გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაში ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი კლასობრივი კულტურის და ხელოვნების განმტკიცებისათვის.

ამასთან დაკავშირებით სდგება საკითხი „პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიის“ ლოზუნგის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ეს ამოცანა დასახული იყო პარტიის 1925 წლ. ცნობილი რეზოლიუციით. ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. ჯერ კიდევ პროლეტარულ მწერლობას არ მოუპოვებია იდეურ შემოქმედებითი ჰეგემონია.

აქედან, ცხადია, რომ ეს ამოცანა არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. პარტიის მიერ დასახული ამოცანა მხოლოდ განხორციელების შემდეგ დაკარგავს თავის მებრძოლ აქტუალობას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ დაამახინჯა და ყალბად გამოიყენა პარტიის მიერ დაყენებული ეს სავსებით დროული და სწორი ლოზუნგი. პროლეტმწერლობის მიერ იდეურ შემოქმედებითი ჰეგემონიაზე ისტორიულ უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა ასოციაციამ ხშირად შესცვალა პროლეტმწერალთა ასოციაციის ორგანიზაციული ჰეგემონიისათვის, მისი ხელმძღვანელობის ჯგუფური და ადმინისტრატიული ჰეგემონიისათვის ბრძოლით.

ბრძოლა მწერლობაში პროლეტარული იდეოლოგიის ჰეგემონიისათვის, ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე მარქსიზმისა და ლენინიზმის გაბატონებისათვის რჩება ჩვენს ყოველდღიურ ამოცანად, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნის მწერლობის შექმნა და, მაშასადამე, უკლასო საზოგადოების ლიტერატურისათვის ყველა წინამძღვრების უზრუნველყოფა.

ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და ბრძოლა საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდისათვის. მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის კონკრეტიზაციის გზით მხატვრული შემოქმედების სპეციფიურ საკითხებში—ჩვენ შემოქმედებითი პრაქტიკაზე უნდა გამოვიმუშაოთ და ჩამოვაყალიბოთ მხატვრული მეთოდი, არა როგორც ნორმატიური დოგმა, არამედ როგორც კონკრეტული სამუშაო იარაღი ლიტერატურულ მშენებლობის გარკვეულ საფეხურზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ კლასს ჯერ კიდევ არ მოეპოვება მტკიცედ გარკვეული კრიტერიუმი მხატვრული ფორმის საკითხებში.

ლიტერატურის თეორიის და მარქსისტულ კრიტიკის მუშაკებმა ღრმად უნდა გაიგონ ამხ. სტეცკის წერილის ნამდვილი აზრი. დიალექტიკის ფორმულებით ოინბაზობა და სქოლასტიური ვარჯიშობა უნდა აღმოვფხვრათ კრიტიკის სფეროდან. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის საფუძველზე ჩვენ უნდა დავამუშაოთ ხელოვნების თეორიის კონკრეტული პრობლემები მათი სპეციფიურობის აუცილებელი გათვალისწინებით და რაც მთავარია, ჩვენ უნდა გავშალოთ კონკრეტული და მეცნიერულად ობიექტიური კრიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ნაწარმოების პოლიტიკურ იდეოლოგიას, არამედ არკვევდეს მხატვრულ საშუალებათა ხარისხობრივ საკითხებსაც და ამით ეხმარებოდეს მწერლის კვალიფიკაციის ზრდას მის იდეურ განმტკიცებასთან ერთად. მხოლოდ ამ გზით შესძლებს ჩვენი ლიტერატურის თეორიულ-კრიტიკული სექტორი გაუწიოს მწერლობას ნამდვილი ხელმძღვანელობა და დახმარება.

პარტიის ისტორიული დადგენილების რეალიზაციას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ პირობებში, თუ გავშლით ბრძოლას ლიტერატურის ფრონტზე დაშვებულ ყველა თეორიულ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ შეცდომების აღმოსაფხვრელად, თუ ნაკვეთილად მოვსპობთ ჯგუფობრიობის ყველა რეციდივებს და „ჯგუფურ კიკლაობას“ შევცვლით მხატვრულ თვალსაზრისთა შემოქმედებითი შეჯიბრით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ საბჭოთა მწერლობის მთელი ძალების ნამდვილ კონსოლიდაციას, მათი მაქსიმალური დარაზმვის თვალსაზრისით მწერლობის წინაშე დასახულ ახალ ამოცანათა დასაძლევად.

ყურადღების ცენტრში მხატვრული შემოქმედების საკითხები უნდა დავაყენოთ. უნდა შევქმნათ ყველა პირობები იმისათვის, რომ მწერლობის შემოქმედებითი აქტივმა ღრმად შეისწავლოს ჩვენს ქვეყანაში, ძლევამოსილად მიმდინარე სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა, შეითვისოს მუშათა კლასის მსოფლმხედველობა, გაიმსჭვალოს იმით და ამ ნიადაგზე მოგვცეს ჩვენი ეპოქის ღრმად გამომხატველი მხატვრული ტილოები.

ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან დაძრულ შემოქმედებითი ძალებს უნდა მივსცეთ ყოველგვარი შესაძლებლობა ლიტერატურული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რათა მათი მახვილი კლასობრივი ალღო და დღევანდელობის პრაქტიკული ცოდნა შეივსოს სამწერლო ტეხნიკის დაუფლებით, რაც აუცილებელია მაღალხარისხოვანი შემოქმედებისათვის.

პარტიის ისტორიული დადგენილების საფუძველზე მთელი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სოციალიზმის ქვეყანას მივსცეთ სოციალისტური მწერლობა.

ბეს. ჟღენტი.

კინო ახალი ამოცანების წინაშე

ჩვენი კინემატოგრაფია სამწუხაროდ მეტად ნელი ტემპით ანხორციელებს ცხოვრებაში 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებას. ცხადია, რომ ეს დადგენილება არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ კინოორგანიზაციებს, არამედ უნდა გარდაიქმნას მთელი მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობა სახკინმრეწვში, განსაკუთრებით მისი ლიტგანყოფილების და სამხატვრო კოლეგიის. საჭიროა ჩვენი კინო-ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიგნოს რომ კინო-წარმოება უმთავრესად დამოკიდებულია სცენარისტის, რეჟისორის და აქტიორის მუშაობაზე. ამიტომ მთელი ყურადღება კინოს ხელმძღვანელობის უნდა იყოს მიქცეული იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სახკინმრეწვი ამ სამი მთავარი ძალით, რა დონეზეა მათი მუშაობის ხარისხი და როგორ მიმდინარეობს მათი მუშაობა.

ავიღოთ სასცენარო მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველას არ შეუგნია სცენარის წამყვანი როლი კინო-წარმოებაში. აქამდის არსებობს ხალხი, რომელნიც ძველებურად რაღაც ინერციის ძალით გაიძახიან, რომ სცენარი ეს არის მომავალი ფილმის ტეხნიკური პროექტი, რომ სცენარი არის მხოლოდ ტეხნიკური საქმე, რომელსაც აკეთებენ კინო-ტეხნიკოსები, აქედან ამომდინარეობს სცენარის როგორც მხატვრული ნაწარმოების შეუფასებლობა, აქედან გამომდინარეობს მრავალი კინო-ფილმის მეტად მდარე მხატვრულ-იდეოლოგიური ხარისხი. სწორედ ამიტომ კინო-წარმოება განიცდის სასცენარო კრიზისს. ცნობილია, რომ კინო-სურათის შინაარსი დამყარებულია სცენარზე. ამდენად სცენარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ბრძოლა სცენარის წამყვანი როლისათვის არსებითად არის ბრძოლა კინო-პროდუქციის ხარისხის აწევისათვის.

შემდეგ. 23 აპრილის დადგენილება სრულიად ახალ ამოცანებს სვამს ხელოვნების წინაშე. იგი ქმნის ახალ პირობებს მხატვრულ შემოქმედებით მუშაობისათვის. დღემდე ჩვენს სინამდვილეში ყველა სცენარი თითქმის ერთმანეთს წააგავდა. მაყურებელი კი ხშირად გარბოდა კინო-თეატრიდან. აქამდის ჩვენ მეტად შეზღუდული ვიყავით კინო-რეპერტუარის მხრივ, თემატიურ გეგმებს ზოგჯერ ბიუროკრატიულად, კაბინეტურად და შეზღუდულად ადგენდნენ. უკანასკნელ პერიოდში კინო-წარმოება თითქმის მხოლოდ საწარმოო ფილმებს უშვებდა, სადაც არ ჩანდა არც „სრული, ყოველმხრივი, განცდებით მდიდარი ცხოვრება“ და არც ადამიანის „ინდივიდუალობის გაშლა“ (ამხ. კოსარევის სიტყვიდან). მანქანების დაუსრულებელი ტრიალი, ტრაქტორი—მთავარ როლში და სხვა ასეთი „ნივთებით გატაცება“. საწარმოო ფილმები მეტად ერთფეროვანი იყვნენ, მათი შექმნა უკანასკნელ დროს სტანდარტულად ხდებოდა. მრავალ შემთხვევებში შტამპით იწერებოდა სცენარები. და ასევე კეთდებოდა კინო-სურათები. განსხვავება შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საწარმოო ფაქტურის სხვადასხვაობაში, მაგ. ერთი სცენარისტი იღებდა თემას ქვანახშირის ფონზე, მეორე— ცემენტის თუ მაარგანეცის და სხვა. ადამიანის ცხოვრება, მისი განცდები გაძევებული იყო კინოდან. აქედან მოხდა ჟანრების გაუპიროვნება და ნიველიროვკა. ჟანრების სპეციფიკას უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება. საჭიროა ჟანრების სხვადასხვაობა. მაყურებელი გაიზარდა, იგი სამართლიანად პროტესტს აცხადებს დიდი სოციალური თემების შტამპიანი დამუშავების წინააღმდეგ. ამიტომ დღეს სცენარისტის მუშაობაში თემატიურ პრობლემასთან ერთად პრობლემა ხარისხის, პრობლემა მაყურებლის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ისეთი კინო-სურათისათვის, რომელსაც მაყურებელი არ გაექცევა კინო-თეატრიდან. მაყურებელს უნდა აინტერესებდეს მთავარი გმირის ბედი, იგი უნდა დარწმუნებულ იყოს მისი რეალურად არსებობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება უსიცოცხლო სქემა, რომლებითაც ასე უხვად ვასაზრდოებთ ხშირად მაყურებელს.

კინო-წარმოება უნდა იბრძოდეს მოსაწყენი სურათების წინააღმდეგ, რადგან ის სურათი, რომელიც არ მიაღწევს მაყურებლამდე და არ იყურება კინო-თეატრში, ის მავნე სურათია და მისი გამოშვება ეკრანზე უდრის მავნებლობას. 23 აპრილის დადგენილება ფართო ასპარეზს შლის შემოქმედებითი მუშაკების წინაშე. კინო-ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა ძირიანად გადააკეთოს თავისი თემატიური გეგმა. რასაკვირველია, თანამედროვე თემატიკას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, მაგრამ იგი უნდა ჟანრის სხვადასხვაობის განხრით იქნეს წარმოდგენილი, რაც შეეხება ისტორიულ თემატიკას ამ მხრივ საჭიროა მეტი თემატიური თავისუფლების მიცემა ავტორებისათვის. ჩვენი ისტორიული თემატიკა მხოლოდ 1905 წლით ამოიწურება—ისიც მეტად დაბალი ხარისხის დამუშავებით. ამჟამად სახკინმრეწვს აქვს ორი კარგი სცენარი 1905 წლის ისტორიიდან—პ. მ. საყვარელიძის და ი. ვაკელის. არ იქნება ინტერესს მოკლებული საბჭოთა მაყურებლისათვის უფრო შორს წასვლა. საქართველოს ისტორია მეტად მდიდარია დრამატიული ამბებით, რომლების სოციალ-ეკონომიური შინაარსის მარქსისტული მიდგომით გაშუქება უთუოდ საინტერესო იქნება. ამ მხრივ ყურადღების ღირსია თემა „ბესიკი“, რომელსაც ამუშავებს პოეტი გ. ლეონიძე სახკინმრეწვისათვის. გარდა ამისა ჩვენი კლასიკური ლიტერატურაში მოიპოვება მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომელთა ეკრანიზაცია მეტად გაამდიდრებს ჩვენს ღარიბ კინო-რეპერტუარს. შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი ნაწარმოებისა მაგ. „პალიასტომის ტბა“, „მეჯღანუაშვილი“, „ელგუჯა“, „ბაში-აჩუკი“, „მაცი-ხვიტია“ და სხვ. მრავალი, რომელთა თანდათანობითი და სისტემატიური ეკრანიზაცია მეტად საინტერესო იქნება, რასაკვირველია იმ პირობით, რომ „წარსულის კულტურული მემკვიდრეობა გამოყენებული იქნეს ჩვენი საკუთარი იდეოლოგიის საჭიროებისათვის“. (გორკი). აგრეთვე სახკინმრეწვმა ეხლავე უნდა მიიღოს ზომები ლ. ტოლსტოის დიდებული ნაწარმოების „ხაჯი-მურატის“ ეკრანიზაციისათვის. ასეთი თემატიური სხვადასხვაობა უსათუოდ გამოიყვანს სახკიმრეწვს იმ სასცენარო ჩიხიდან, რომელშიაც იგი იმყოფება.

შ. ალხაზიშვილი.

ლიტქრონიკა

მებრძოლი ჟურნალისტი

ჟიულ ვალესის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო

ჟიულ ვალესი დაიბადა 1832 წლის 11 ივნისს. ის იყო პუბლიცისტი, რომანისტი და ნარკვევების მწერალი.

ვალესი იყო სოფლის მასწავლებლის შვილი. ის 17 წლიდან პარიზში ცხოვრობდა და მეტად დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ის ხარბად დაეწაფა სოციალისტურ წიგნებს და გაზეთებს, შეისწავლა რევოლიუციების ისტორია და თანაუგრძნობდა ლიონის ფეიქართა აჯანყებას; ის ყოველთვის პირველ რიგში იდგა, როდესაც საჭირო იყო „თავისუფლების და სოციალიზმის დაცვა“ რეაქციის [illegible] ტალღებისაგან. ახალგაზრდა ვალესი მონაწილეობას იღებს შეთქმულებაში ლუი ბონაპარტის წინააღმდეგ და ეძებს „გამარჯვებას ანდა სიკვდილს“ ბარიკადაზე 1851 წლის დეკემბრის აჯანყების დღეს.

1857 წელს გამოვიდა ვალესის პირველი წიგნი „ფულები“. ეს იყო ბანკირების წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი. თავის ფელეტონებში ვალესი ილაშქრებს ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. თავს ესხმის კათოლიკურ ხუცებს და დიდ უსიამოვნებას აყენებს მაშინდელ ხელისუფალთ. ის არ ივიწყებს ლიბერალებსაც და დასცინის საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ამ პოლიტიკურ აგენტებს. თავისი ქრონიკებიდან მან შეადგინა წიგნი „ქუჩა“, რომელშიაც მოგვცა ქუჩის მცხოვრებთა, უსახლკარო ღარიბთა, მოხეტიალე მუსიკოსთა, მომღერალთა, მთხოვართა და სხვ. სურათი.

1867 წელს ვალესმა დაარსა გაზეთი „ქუჩა“. „ეს სახელწოდება—აცხადებდა რედაქცია—ჩვენ ავიღეთ როგორც დროშა, რომ ერთბაშად გვიცნონ, თუ ვინ ვართ ჩვენ. ჩვენ გვინდა ვიყოთ უბედურთა ორგანო, რომელიც ნათლად გამოხატავს სახალხო ქუჩის ცხოვრებას“.

ვალესი ოცნებობდა სოციალისტურ რესპუბლიკაზე, მაგრამ ის იყო გრძნობის რევოლიუციონერი და არ გააჩნდა არავითარი ნათელი და გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა; რევოლიუციონური ტაქტიკის საკითხებში კი ის ყველაზე უფრო ახლო იყო ბლანკიზმთან.

ვალესი სამჯერ იყო დაპატიმრებული და ორჯერ მოიხადა სასჯელი ციხეში. „მარსელიეზას“ თანამშრომლის ვ. ნუარის დასაფლავებაზე მან წამოაყენა წინადადება, რათა 200 ათასიანი პროცესია წასულიყო პარიზში, გამოეწვია რევოლიუცია და გამოეცხადებია სოციალისტური რესპუბლიკა.

1871 წელს მან დაარსა ყოველდღიური რევოლიუციონურ - სოციალისტური გაზეთი „ხალხის ყვირილი“. მასში თანამშრომლობდნენ აგრეთვე გედი და ლაფარგი. ამ გაზეთში ვალესი იმ აზრს ატარებდა, რომ „ბურჟუების პარლამენტს“ უნდა დაუპირდაპიროთ „ხალათების, (ე. ი. მუშების) პარლამენტი და აჯანყებისაკენ მოუწოდებდა ხალხს. ის პირველსავე ნომერში სწერდა: „მოხდება სამოქალაქო ომი. გესმით? ის ახლოვდება გიგანტური ნაბიჯებით და თან მოაქვს არა დაღუპვა, არამედ ხსნა“. გაზეთი დახურეს 11 მარტს, მაგრამ კომუნის გამოცხადების შემდეგ მან კვლავ იწყო გამოსვლა.

ლონდონში ყოფნის დროს ვალესი ფსევდონიმით კორესპონდენციებს გზავნიდა პარიზის გაზეთებში. ამ კორესპონდენციებისაგან შემდეგ შესდგა წიგნი „ლონდონის ქუჩა“. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1880 წელს პარიზში გამოვიდა მისი ტრილოგიის „ჟაკ ვენტრას“ სამი ნაწილი. ამას გარდა მან დასწერა მოგონებები, რომლებიც გამოვიდა საფრანგეთში მხოლოდ 1930 წელს.

გარდაიცვალა ვალესი 1885 წლის 14 თებერვალს. მის დაკრძალვას ბურჟუაზიული ლიტერატორები არ დასწრებიან. სამაგიეროდ მისი კუბო გააცილეს 10 ათასმა მუშამ, მეგობრებმა და თანამებრძოლებმა. მის საფლავზე ამოჭრილია მის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ის, რასაც ჩემს სტილს უწოდებენ—ეს ჩემი რწმენაა“.

ბ. ბ.

საქართველო

რომანი-პოემა „მთები“

პეტრე სამსონიძემ დასწერა ახალი რომანი-პოემა „მთები“. პოემა დაახლოებით იქნება 3500 სტრიქონზე მეტი და შემოდგომიდან დაიბეჭდება ჟურ. „მნათობში“.

„ცხოვრება ინდუსტრიალური“

გამოვიდა **შალვა ბუაჩიძის** ნარკვევების წიგნი: „ცხოვრება ინდუსტრიალური“. გამოცემა სახელგამის.

— **სეზმან ერთაწმინდელმა** დასწერა: 1. „სსრკ სადარაჯოზე“—(პიესა სამ მოქმედებად — წითელი არმიის ცხოვრებიდან—ოქტომბრის მე-15 წ. თავისთვის, საქ. დრამკომის კონტრაქტაციით; 2) „საბჭოთა ნავთი“ (დრამა 3 მოქმედებად) და 3) „სსრკ სადარაჯოზე“ (პოემა-ლიბრეტო ოპერისათვის—3 მოქ. და 6 სურათად).

„ათასი წლის შემდეგ“

ივ. ყიფიანმა დასწერა ფანტასტიური რომანი „ათასი წლის შემდეგ“.

ზუგდიდის თეატრი

ზუგდიდში დამთავრდა საზაფხულო თეატრის აგება. თეატრის შენობა საუცხოვოა და იტევს 900-მდე მაყურებელს. სცენა მოწყობილია კარგად.

ზუგდიდში შენდება საკმაოდ დიდი საზამთრო თეატრის შენობა. მის აგებამდე ზამთარში წარმოდგენები გაიმართება საზაფხულო თეატრში.

საზაფხულო თეატრის დასი შედგენილია. სეზონი გაიხსნება 15 აგვისტოს პეტრე სამსონიძის პიესით—„სალტე“-თი.

საბჭ. მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა

პლეხანოვის სახ. კლუბში

2 აგვისტოს, პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს სხდომა, ტფილისის პროფკავშირულ აქტივთან ერთად.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ს. ეულმა, რის შემდეგ. ამხ. **შ. დუდუჩავამ** ვრცელი მოხსენება გააკეთა თემაზე: „საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობის შედეგები“.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალ შემკეთებელი ქარხნის მუშები ამხ. **ლორთქიფანიძე** და **მუჯირიშვილი** და ამხ. **ბეს. ჟღენტი**.

მხატვრულ განყოფილებაში თავიანთი ნაწარმოებების წაკითხვით მონაწილეობა მიიღეს: გ. ქუჩიშვილმა, შ. დადიანმა, ი. ლისაშვილმა, პ. იაშვილმა, ვ. ჟურულმა, ტ. ტაბიძემ, ს. ეულმა, გრ. ტაბატაძემ.

ს ო მ ხ ე თ ი

(სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

1000 წლის თავი გაფიზის გარდაცვალებიდან

უდიდეს სპარსელ პოეტის გაფიზის გარდაცვალებიდან 1000 წლის თავის აღსანიშნავად სომხეთის სახ. გამომცემლობა შეუდგა მისი ლექსების თარგმანთა წიგნის გამოცემას.

სომხეთის მატერიალურ კულტურის ინსტიტუტს დაევალა დაამზადოს ვრცელი გამოკვლევა გაფიზის შემოქმედებასა და წარსულში სომხურ ლიტერატურაზე სპარსულ ლიტერატურის გავლენის შესახებ.

გაფიზის გარდაცვალებიდან 1000 წლის თავის აღსანიშნავ კვირეულის ჩასატარებლად შემდგარია სპეციალური კომისია.

ბერანჟე სომხურად

სომხეთის საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა სომხეთის სახ. გამომცემლობის წინაშე, ცნობილ ფრანგ პოეტ ბერანჟეს ლექსების სომხურად თარგმნისა და გამოცემის შესახებ მისი გარდაცვალებიდან 75 წლის თავის აღსანიშნავად.

სირანუიშის გარდაცვალება

ქაირიდან (ეგვიპტე) მიღებულ ცნობით იქ გარდაიცვალა ცნობილი სომეხი მსახიობი ქალი **სირანუიში**. განსვენებული მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოდიოდა საპასუხისმგებლო როლებში სტამბოლის, თბილისის, ბაქოს, რუსეთის და სპარსეთის მთავარ ქალაქების სცენებზე.

„საბჭოთა ხელოვნება“

ერევანში ახლო ხანში გამოვა ახალი ჟურნალი სახელწოდებით: „საბჭოთა ხელოვნება“. ეს ჟურნალი გააშუქებს თეატრის, მხატვრობის, მუსიკის, კინოს, ხუროთმოძღვრების და მარქსისტულ-ლენინურ ხელოვნების მცოდნეობის საკითხებს.

შეფობა კანაკერჰესზე

სომხეთის საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა აიღეს კულტურული შეფობა კანაკერჰესზე.

სომხური ოპერა

მომავალ სეზონიდან ერევანში ეწყობა პირველი სომხური ოპერა. უკვე მოწვეულნი არიან ცნობილი სომეხი მომღერლები, მათ შორის: **ისეცკი** (ბასი), **ვარდანოვი** (ბარიტონი), **კარატოვი** და **სოკრატიანი** (ტენორები), **გრიგორიან** (ბასი), **დანელიანი** (სოპრანო) და სხვ.

მხატვრული გაფორმება მინდობილი აქვს სახალხო მხატვარს **გ. სარიანს**.

გუნდის ხელმძღვანელობა — **ა. ოგანესიანს**.

მთავარ დირიჟორად მიწვეულია **სტოლერმანი**.

ანსამბლში გამოყენებული იქნება ერევნის კონსერვატორიის ახალგაზრდა ძალები.

სომხური სახ. ოპერა გაიხსნება ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე. წარმოდგენილი იქნება **ა. სპენდიაროვის** ოპერა „ალმასტ“.

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (რედაქ. მდივანი) შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.
გამომცემლობა „ფედერაცია“.

გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“-ს
სარედაქციო კოლეგიის სხდომა
საქ. საბჭოთა მწერლების აქტივთან ერთად
მოწვეულია 10 აგვისტოს, საღ. 7 საათზე,
ეგ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლეში.
დღის წესრიგი: „სალიტერატურო გაზეთი“-ს გეგმის განხილვა და დამტკიცება.
სხდომას უნდა დაესწრონ კოლეგიის წევრებს გარდა შემდეგი ამხანაგები:

ე. ასტვაცატუროვი, ლ. ასათიანი, შ. ალხაზიშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, დ. ბენაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ეული, პ. იაშვილი, ს. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. ლომიძე, გ. ლეონიძე, ალ. მაშაშვილი, კ. მელაძე, ფ. ნაროუშვილი, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, პ. სამსონიძე, ა. სულავა, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ჩიქოვანი, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, შავგულიძე.

ტირაჟი 4.000. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა, კამოს ქ., № 68. მთავლიტი № 749.